„ქართული გენია როკვით განფენილი“

საქართველოს ქორეოგრაფია

გამოდის 1992 წლის იანვრიდან

№4 (32), ოქტომბერი, 2011 წელი

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი

ფრიდონ სულაბერიძე 70 წლისაა!



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი ულოცავს საუკუნის ლეგენდარულ მოცეკვავეს ფრიდონ სულაბერიძეს დაბადებიდან 70 წლისთავს, უსურვებს დღეგრძელობას, მზეგრძელობას და ახალ-ახალ შემოქმედებით ნარმატებებს მთელი ქართული კულტურის საკეთილდღეოდ.

ფრიდონ სულაბერიძის იუბილისადმი მიძღვნილი სპეციალური ჩანართი იხილეთ მე-5-6 გვერდებზე

საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო!

მოგმართავთ საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის სახელით. კავშირისა, რომელშიც გაერთიანებულია უნიკალური ქართული ხალხური ცეკვების დამდგმელი ქორეოგრაფების, ქორეოლოგებისა და შემსრულებელ მოცეკვავეთა როგორც ძველი, ისე ახალი თაობის ასობით ღვაწლმოსილი და დამსახურებული პიროვნება (თუ საბავშვო ქორეოგრაფიასაც გავითვალისწინებთ მათი რაოდენობა ათეულ ათასებსაც კი გადააჭარბებს).

განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავთ იმ დაუღალვი ზრუნვისა და ამაგისათვის, რომელსაც თქვენ იჩენთ ქართული ფოლკლორის ასაღორძინებლად და აღმავლობის გზაზე დასაყენებლად. ამისი დასტურია საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დაფუძნება, მრავალრიცხოვანი ფოლკლორული ფესტივალები და საღამოები, რადიო და ტელეგადაცემები, თვალსაჩინო ხელოვანთა შემოქმედებითი საღამოები, იუბილეები, ყოველწლიური ფესტივალი „ჩვენებურები“ და მრავალი სხვა.

მადლიერები ვართ, ასევე, იმ დიდი საჩუქრისათვის, რომელიც თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, გაგვიკეთეთ ჩვენ და სრულიად საქართველოს ქორეოგრაფიულ კოლექტივებს, ეროვნული სასცენო სამოსის შესაკერად გაღებული თანხით თქვენ რამდენიმე ათასი ბავშვის, მოზარდის, მხატვრული შემოქმედების მონაწილის თუ პროფესიონალი მოცეკვავის გული გაახარეთ. ჩვენ ყოველთვის გვქონდა და გვაქვს თქვენი თანადგომის იმედი.

ძირძველი, უნიკალური და განუმეორებელი საცეკვაო ფოლკლორი, ჩვენი დიდი ეროვნული განძი, რომელიც, ბევრი უთვალსაჩინოესი მოღვაწის აღიარებით, „მსოფლიოს მერვე საოცრებას“ წარმოადგენს, დღეს მთელი სამყაროს ყურადღების ცენტრშია მოქცეული. მის გასაცნობად ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მეტი ხელოვანი ჩამოდის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ბუნებრივია, ისინი ცდილობენ ჩვენთან დაკავშირებას, რადგან სამსახურებრივად მისი მოვლა-პატრონობა და პროპაგანდა ჩვენ გვევალება, მაგრამ ვერ გვპოულობენ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებით კავშირს თავისი ოფისი არა აქვს როგორც კავშირის შინაური და უცხოელი სტუმრების მისაღებად, ასევე ნორმალური მუშაობისათვის. არადა, კავშირს უამრავი საქმე აქვს გასაკეთებელი, თუნდაც, ქორეოგრაფიის თეორიული საფუძვლების, მეთოდური რეკომენდაციების, რეპერტუარის დახვეწის, საშემსრულებლო ხელოვნების ამაღლების, უცხოეთში საგასტროლოდ გამსვლელ ანსამბლთა (მათ შორის, საბავშვო, მოზარდთა და სტუდენტთა) ობიექტური შერჩევის, ქორეოგრაფთა ახალი თაობების აღზრდის და ა.შ. მიმართულებით.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი არაორდინალური სიტუაცია და დაავალოთ სათანადო ორგანიზაციებს, რომ მათ გამონახონ და გამოგვიყონ შესაბამისი ფართი კავშირის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ყველა იმ მიზნისა და ამოცანის განსახორციელებლად, რომლებიც კავშირის მეხუთე ყრილობამ დაგვავალა ამ კავშირის ახლადარჩეულ ხელმძღვანელობას. გპირდებით, რომ საკითხის დადებითი გადაწყვეტა ჩვენი საქმიანობის ახალ, მძლავრ იმპულსად იქცევა.

იმედი გვაქვს თქვენი თანადგომისა და მხარდაჭერისა.

გულწრფელი პატივისცემით,
ლაუზი (რეზო) ჭანიშვილი -
კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი.

თვალსაზრისი

ქართული ცეკვის საგნობრივი პროგრამის რაობა

ზაურ ლაზიშვილი,
საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი



საქართველოს საჯარო სკოლებში ქართული ცეკვის საგნობრივი სწავლების შემოღება ცხოვრების მოთხოვნილებებმა განაპირობეს.

ჩვენმა ხალხმა, საზოგადოებრიობამ, გულითადად აღიქვა ამ მრავლისმთქმელი გადაწყვეტილების კეთილგონივრულობა. მეტადრე, იგი ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების მესვეურთა ცხოველ ინტერესებში მოექცა.

ათეული წლების განმავლობაში ქორეოგრაფიის მოღვაწენი მოითხოვდნენ, რომ სკოლებში დაგვენერგა ქართული ცეკვის საგნობრივი სწავლება. მაგრამ ბიუროკრატიული, გულგრილი მიდგომა უმართებულოდ ამუხრუჭებდა მის განხორციელებას.

დროის პროცესებს მხარი მაინც აება, ღირსსაცნობმა მოვლენამ სასიკეთო გზაკვალი გაიკაფა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მონდომებით დამუშავდა ქართული ცეკვის საგნობრივი პროგრამა. მკაფიოდ გამოჩნდა, რომ საფუძვლიანი პროგრამის შედგენა არცთუ იოლი საქმეა.

პროგრამა რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. მისი ზოგადი ნაწილის შესავალი ასეთია: „ქართული ხალხური ცეკვის შესწავლა ემსახურება მოსწავლის ფიზიკურ და ესთეტიკურ განვითარებას, მოზარდ თაობაში ზოგადი კულტურის აღზრდას, დახვეწილი გემოვნების, ღირსების გრძნობის, შრომისმოყვარეობის, კორექტული ქცევის, აგრეთვე, საკუთარი თავის ფლობის უნარის განვითარებას. ქართული ცეკვა მკვეთრად გამოხატული ხასიათითა და მუხტით უვითარებს მოსწავლეს ეროვნულ შეგრძნებას და უყალიბებს ტრადიციისადმი პატივისცემის გრძნობას“.

პროგრამის ზოგადი ნაწილის მომდევნო საკითხებია: ქართული ცეკვის სწავლების მიზნები და ამოცანები, ქართული ცეკვის საგნის სწავლების ორგანიზება, ქართული ცეკვის სწავლების მიმართულების აღწერა, პრაქტიკული ჩვევები, კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია.

პროგრამაში განსაზღვრულია ქართული ცეკვის საგნის სწავლების მიზანი. ამ მხრივ, სახელდება ქართული ცეკვის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, საცეკვაო შემოქმედებითი უნარის განვითარება და სხვა საგანმანათლებლო და ფიზიკურ თვისებათა განვითარების თავისებურებანი.

რა თქმა უნდა, საერთო ყურადღებას იპყრობს ქართული ცეკვის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება. ასეთი დამოკიდებულება რეალობაა, არსებობენ ზოგადი და ინდივიდუალური, კონკრეტული ფაქტორები.

ზოგადია ის, რომ ქართული ცეკვის ცოდნა მოსწავლის, ახალგაზრდის ეროვნული ღირსების გამოხატულებაა.

ტრადიციულად, ქართველი ბავშვი სიმღერისა და ცეკვის მიღმა ვერ იქნება. ქართველებს დაბადებიდან მოგვყვება ცეკვის სიყვარული.

კონკრეტული დამოკიდებულებაა ყოველივე ის, რაც ბავშვისთვის, მოსწავლისთვის მოსაწონი და მიმზიდველია. საკუთრივ ის, რომ ახალგაზრდებს იზიდავს სხეულის მხატვრულად გარდასახვა, რიტმულობის ქსოვილში მოქცევა.

საკუთარი, ანუ ინდივიდუალური დამოკიდებულებები უფრო იკვეთება ცეკვის სწავლებისას. საშემსრულებლო ეტაპზე ეს დამოკიდებულება ბევრად აქტიურდება. მოსწავლისათვის ნათელი ხდება ამა თუ იმ საცეკვაო ლექსიკის ფუნქციური მნიშვნელობა. კარგადაა ცნობილი, რომ ქართული ცეკვის თითოეული ილეთი გარკვეული აზრის მომცველია.

აღსანიშნავია, რომ ქართული ცეკვის მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბება პედაგოგ-ქორეოგრაფის როლსაც მოიაზრებს. ამდენად, აუცილებელია, რომ საჯარო სკოლებში, უპირატესად, მუშაობდნენ სათანადო განათლების მქონე პრაქტიკოსი ქორეოგრაფები.

ჩვენი შეხედულებით, სათანადოდ უნდა გავარკვიოთ საცეკვაო-შემოქმედებითი უნარის განვითარების თავისებურებები. ამასთან დაკავშირებით, შემოქმედების შესახებაც უნდა აღვნიშნოთ. შემოქმედება ფსიქიკური მოღვაწეობის, საქმიანობის პროცესია. შემოქმედების პროცესში ადამიანი ქმნის ხარისხობრივად ახალ, მატერიალურ, სულიერ, მხატვრულ ფასეულობებს.

ქართული ენის განმარტების ლექსიკონში წერია: შემოქმედება ადამიანის ისეთი მოქმედებაა, რომლის შედეგადაც იქმნება ახალი კულტურული ღირებულებანი — ხალხური შემოქმედება, მხატვრული შემოქმედება და სხვა.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, ვიცოდეთ, რა მიმართულებით უნდა წარიმართოს მოსწავლეთა საცეკვაო-შემოქმედებითი შესაძლებლობანი. ჩვენი შეხედულებით, ესაა მოსწავლის ფიზიკური შესაძლებლობების, მისი ტან-სხეულის მოქმედების, მოძრაობის პროცესები.

მოსწავლე, იგივე მოზარდი, უნდა შევაჩვიოთ, რომ სწორად გადმოსცეს ამა თუ იმ ილეთ-მოძრაობის სახე, მას უნდა გაეგებოდეს, რომ თითოეული საცეკვაო ილეთი, ცეკვის ფრაგმენტი სინამდვილის, გარემოს შთაბეჭდილების ანარეკლია. ბუნებრივია, მოსწავლის მისწრაფება უნდა იყოს, რომ მეტი გამომსახველობა მიეცეს ცალკეულ საცეკვაო ქმნილებას.

ასეთ შემთხვევაში პედაგოგ-ქორეოგრაფი მოვალეა მოწოდების სიმაღლეზე იდგეს. მან უნდა გამოიყენოს სწავლების ეფექტური ხერხები, მეთოდები, რათა ღრმად ჩაწვდეს ბავშვის შესაძლებლობებს. პედაგოგ-ქორეოგრაფს ევალება, განავითაროს მოსწავლის ინდივიდუალური მონაცემები, დაინტერესოს იგი ცეკვის თემა – შინაარსისა და ფორმის რაობით, ასეთი მუშაობით მოსწავლე თანდათან იძენს იმ უნარ–ჩვევებს, რომელიც ააქტიურებს მის შემოქმედებით ჩვევებს. სწორედ ეს მიზანდასახულობანია ცეკვის საგნობრივ პროგრამაში წარმოჩენილი. კერძოდ, ისე, რომ ცეკვის მოყვარულ ბავშვებს აღვუქვათ პლასტიკური გამომსახველობის, შინაგანი ძალების კოორდი-

ცეკვის გაკვეთილები

თვალსაზრისი

ქართული ცეკვის საგნობრივი პროგრამის რაობა

ნაციის, მოძრაობა-გადაადგილების, ასევე ტანადობის, სხეულის ფლობის ნიშან-თვისებანი. აქვე მოიაზრება მოტორული ანუ მოძრაობითი მეხსიერების საცეკვაო რიტმის შეგრძნების განვითარება.

მოტორული მეხსიერების განვითარებაში ნაგულისხმევია საცეკვაო ნახაზის, კომპოზიციური ნაწილების მიხედვით მოძრაობა, ფრაგმენტთა ერთმანეთთან დაკავშირებისა და მუსიკალური რიტმული ნიუანსების აღქმა, საცეკვაო განწყობილების, ხასიათის წარმოჩენა, რასაც საცეკვაო ეპიზოდები ითხოვს.

ცხადია, პედაგოგ-ქორეოგრაფის სწავლების უმთავრესი ფაქტორია რიტმულობის შეგრძნებაზე ყურადღების გამახვილება... ქართული ცეკვა რიტმული მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რომლის სრულფასოვნად გათავისება საცეკვაო შემოქმედების შედეგიანი საფუძველია. ტყუილად არ წერდა ცხრამეტი საუკუნის წინათ ბერძენი ფილოსოფოსი ლუკიანე სარისატელი: „ცეკვის ხელოვანმა უნდა იცოდეს პოეზია, მუსიკა, რიტმიკა, გეომეტრია და ფილოსოფია“.

საგნობრივი პროგრამა გვკარნახობს, როგორ წარვმართოთ ქართული ცეკვის საგნობრივი სწავლების ორგანიზება, გვაცნობს, რა არის სწავლების მიმართულებათა ძირეული შინაარსი, ამ მხრივ გამოკვეთილია ორი მიმართულება: ერთია – პრაქტიკული ჩვევები, მეორე – კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია.

ორი მიმართულება საერთო მიზანს ემსახურება, სწავლებაში ურთიერთკავშირის აუცილებლობას ემყარება. პროგრამაში აღნიშნულია, რომ ქართული ცეკვის სწავლებისას „მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ და ჩამოუყალიბდებათ პრაქტიკული უნარ–ჩვევები“, აქტიურად დაეუფლებიან ცეკვის „საშენ მასალას“, საერთოდ, საცეკვაო ლექსიკას. ყოველივე იგი ბავშვებში ცეკვის პლასტიკური გამომსახველობის, იმპროვიზაციული უნარების განვითარების საფუძველია.

აქვე ჩნდება კითხვაც: რას ნიშნავს ცეკვის ეგრეთ წოდებული კომუნიკაცია, ასევე ინტერპრეტაცია, რა უნდა გვასწავლოს ამ ცნებებმა, იგივე მეორე მიმართულების მოთხოვნებმა?

პროგრამაში განმარტებულია, რომ „ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეები ეჩვევიან სხვის მიერ შესრულებული ცეკვის განხილვას. აზრის ნათლად გადმოცემას შესაფერისი ტერმინოლოგიის გამოყენებით და ქცევის ნორმების დაცვით. მოსწავლეები მონაწილეობენ ერთობლივ შემოქმედებით პროცესში, ესწრებიან და მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებებში, იღებენ ინფორმაციას შესწავლილი ცეკვების შესახებ“.

რა თქმა უნდა, აუცილებელია მოსწავლეს გააჩნდეს სათანადო ინფორმაცია, კიდევ მეტი, ცოდნა ცეკვის შესახებ, ერკვეოდეს ხალხური ცეკვის თემატურ-შინაარსობრივ რაობაში.

ნათელი წარმოდგენისათვის მაგალითები ცოტა როდია. საილუსტრაციოდ ვიტყვით „ხორუმზე“. ამ ცეკვის კარგად შესწავლა, ათვისება, სწორად შესრულება, კომპოზიციებში გარკვევა მოსწავლისათვის აუცილებელი პირობაა. მოსწავლეს წინასწარ უნდა ვასწავლოთ რა თემა-შინაარსზე აიგება „ხორუმი“, გავაცნოთ ამა თუ იმ ილეთის, ფრაგმენტის მნიშვნელობა, ფუნქციური დანიშნულება. ეს ფაქტორები ბევრად ეხმარება ბავშვს, რომ გაუადვილეს ყველა საცეკვაო ნაწილის მყარად ათვისება.

ქართული ცეკვის სწავლების საგნობრივი პროგრამა ერთგვარ სტანდარტს გვთავაზობს. უპირველესად პროგრამა საკუთრივ მეოთხე კლასელთათვისაა გათვალისწინებული. სხვაგვარად მას სწავლების დაწყებითი საფეხური ჰქვია, რომელშიც განსაზღვრულია საგნობრივი კომპეტენციები, ყურადღებას იპყრობს წლის ბოლოს მისაღწევი შედეგების მნიშვნელობა.

პრაქტიკული უნარ-ჩვევების მიმართულების მიხედვით მისაღწევად მიჩნეულია შემდეგი შესაძლებლობანი:

1. მოსწავლე იცნობს და შეუძლია ქართული ცეკვის ელემენტების გამოყენება;
2. ცეკვის დროს მოსწავლეს შეუძლია კოორდინაციის დაცვა;
3. მოსწავლეს შეუძლია ცეკვა ინდივიდუალურად და სხვებთან ერთადაც;
4. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობის ორგანიზება;
5. მოსწავლეს შეუძლია იმპროვიზაცია მოსმენილი მასალის მიხედვით.

კომუნიკაცია, ინტერპრეტაციის თავისებურებებით შემდეგი ვითარება უნდა გვქონდეს:

6. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა სხვისი ცეკვის მიმართ;
7. მოსწავლეს შეუძლია ცეკვის ნასწავლი ტერმინოლოგიის გამოყენება;
8. მოსწავლეს შეუძლია ნასწავლი ქართული ცეკვების ამოცნობა და დახასიათება.

სათანადო ქორეოგრაფიული ცოდნა, ბავშვებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება გვარწმუნებს, რომ ზემოაღნიშნული პრაქტიკული უნარ-ჩვევები თუ კომუნიკაციისა და ინტერპრეტაციის ნიშან-თვისებათა ხორცშესხმა შესაძლებელია, თუ გავზრდით სასწავლო საათებს. არადა, კვირაში ერთ საათიანი მეცადინეობა ვერ მოგვაპოვებინებს იმ შედეგებს, რომლებიც ჩამოთვლილია პროგრამაში. უდავოდ საინტერესოა, რომ დღის წესრიშია ტერმინების გამოყენების აუცილებლობა. სამწუხაროდ, ამ მხრივ, ბევრი სამუშაო გვაქვს. შეიძლება ითქვას, რომ დაზუსტებას საჭიროებს ცალკეული ცეკვების სახელწოდებანი და ტერმინები. არ შეიძლება, მოსწავლეებს მივაწოდოთ სრულიად გაურკვეველი სახელწოდებანი და ტერმინები. ბევრად მომგებიანია, დავეყრდნოთ ხალხურ ტერმინებს.

პროგრამა გვერდს ვერ აუვლის მუსიკას, რომელიც ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა ცეკვის მხატვრული სახის წარმოჩენისათვის. პროგრამაში წერია, რომ „მოსწავლეს შეუძლია იმპროვიზაცია მოსმენილი მუსიკალური მასალის საფუძველზე“. ამას დამაჯერებლად განმარტავს პროფესორი უჩა დვალიშვილი: „მომავალი მოცეკვავე შინაგანად უნდა ცდილობდეს მუსიკის თემის გახსნას. მას უნდა შეჰქონდეს თავისი გატაცების დამახასიათებელი თვისებები, რომელთაგან უნდა ჩამოყალიბდეს მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობა“.

საგანგებო მსჯელობის საგნად მივიჩნევ პროგრამის ნაწილს – „მოსწავლეს შეუძლია ნასწავლი ქართული ცეკვების ამოცნობა და დახასიათება“. აქ მინიშნებულად აღნიშნულია: შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

ა) ამოიცნობს ცეკვას მუსიკის მოსმენისას;

ბ) იცნობს და ასახელებს ნასწავლი ცეკვების დამახასიათებელ ილეთებს;

გ) ახასიათებს ნასწავლ ცეკვებს შემსრულებელთა შემადგენლობის, შინაარსის, ჟანრების მიხედვით;

დ) ცეკვების მიხედვით განასხვავებს კოსტუმებს;

ე) ასახელებს ცეკვის მუსიკალური თანხლებისათვის საჭირო მუსიკალურ საკრავებს.

სწავლებაში ასეთი მიდგომები ხელს უწყობს მოსწავლის გონებრივ აქტიურობას, წარმოაჩენს აზროვნების სიცხადეს და, რაც მთავარია, ცეკვის პრაქტიკული ცოდნის უკეთ გაღრმავების პროცესებს სახავს.

პროგრამის საბოლოო ნაწილია „პროგრამის შინაარსი“. ამ ნაწილში გამოიყოფა ორი მომენტი, ფრაგმენტები ცეკვებიდან (ნაგულისხმევია „დავლურ-ქართული“, შერჩევით „აჭარული“ „მთიულური“ და ა. შ.) და ცეკვის ელემენტები. აქ მოიაზრება:

1. ძირითადი სვლები (წინსვლა, უკუსვლა, გვერდზე სვლა);
2. გასმები;
3. ჩაკვრების ნაირსახეობანი;
4. მარტივი ცერილეთები და სხვა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა, ძირითადად, პასუხობს ცეკვის სწავლების შესაძლებლობებს, მოთხოვნებს. იგი მისაღებია პედაგოგ-ქორეოგრაფთათვის, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ საჭიროებს უფრო დაკონკრეტებას.

აქედან გამომდინარე, პროგრამა გვაძლევს საშუალებას, უფრო თვალსაჩინო გავხადოთ იგი.

უნდა ვთქვათ, რომ პროგრამაში ჩამოყალიბებულია შინაარსი, თუ რას ემსახურება ქართული ცეკვა, რისთვის დაიგეგმა ქართული ცეკვის სწავლების აუცილებლობა.

ცხადია, თავისდაუნებურად გვიჩნდება უკმარისობის გრძნობა, რომ ქართული ცეკვა პრაქტიკული სახით ისწავლებოდეს მხოლოდ. სათანადო დრო უნდა დაეთმოს ზოგადი თეორიული საკითხების შესწავლასაც.

მხოლოდ მეოთხე კლასში არ უნდა იწყებოდეს და მთავრდებოდეს ქართული ცეკვის საგნობრივი სწავლება.

პროგრამა ერთგვარი ორიენტირია იმისა, თუ რა მეთოდით, პრინციპებით წარიმართოს მეცადინეობანი. რა სახით უნდა შედგეს სემესტრული თემატური გეგმა, რა შინაარსი, თემა უნდა შეირჩეს სწავლებისათვის. სხვაგვარად, საგნობრივი კომპეტენციები დაწყებით საფეხურზე არც წარმოიდგინება, მით უფრო, წლის დასასრულს მისაღწევ შედეგებზე მართებული დასკვნების გამოტანა გაძნელდება.

კარგადაა ცნობილი, რომ ახლა სკოლებში ახალგაზრდა ქორეოგრაფები მუშაობენ, რომელთა ნაწილს სპეციალური განათლება არ გააჩნიათ, სიძნელის წინაშე დადგებიან სხვა კატეგორიის ქორეოგრაფებიც, საფიქრალ–სათქმელი ცოტა როდია. არსებულ სიძნელეთა გარკვევისათვის, უდაოდ, გასაზიარებელია პედაგოგიკის დოქტორის, პროფესორ ოლეგ ალავიძის მოსაზრება: „... ცეკვის მასწავლებელთა საერთო შემადგენლობა საკმაოდ ნაირფეროვანია. ერთი რამ, რაც ყველა მათგანს აერთიანებს, არის სასცენო მოღვაწეობის გზით შეძენილი პრაქტიკული გამოცდილება. იგი მოპოვებულია სხვადასხვა ანსამბლში მსახიობ-მოცეკვავის ან კიდევ მუსიკოს-აკომპანიატორის როლში ყოფნის დროს. სწორედ, ეს გამოცდილებაა ის უმთავრესი სამოქმედო იარაღი, რითაც ისინი სარგებლობენ მოზარდებთან მუშაობისას. პრაქტიკაზე დაკვირვება და მისი ანალიზი კი აჩვენებს, რომ განსაკუთრებულ სირთულეს მთელ ამ სპექტრში საკითხის პედაგოგიური მხარე ქმნის... ქორეოგრაფიული ხელოვნების ანბანს ასწავლის პიროვნება, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, არის მოცეკვავე ან კიდევ, პირიქით, არის პროფესიით და შინაგანი მოწოდებით პედაგოგი, მაგრამ არ არის პროფესიონალი ქორეოგრაფი“.

ბუნებრივია, სირთულე არსებობს, მშვიდად ყოფნა არ გამოვა. ახლა საჯარო სკოლას პედაგოგიური ცოდნის მქონე პროფესიონალი ქორეოგრაფი ესაჭიროება. ქართული ცეკვა მოზარდთა აღზრდის სამსახურში უნდა გვეგულებოდეს. რა დასამალია, რომ საჯარო სკოლებში თავს ავლენენ ქორეოგრაფიული სწავლების და აღზრდის მეთოდურად შეუსაბამო მომენტები.

გასაკვირი არაა, საზოგადოებრიობას აინტერესებს, როგორ წარიმართება, ან რა ადგილს დაიჭერს სკოლის ცხოვრებაში ახალი პრაქტიკული საგანი „ქართული ცეკვა“.

პროგრამა გვკარნახობს, რომ ვისწავლოთ, ავითვისოთ მხოლოდ ქართული ჯიშის ცეკვები ე. ი. ვიცეკვოთ მხოლოდ ქართულად, ქართული შემოქმედებით ვიღვაწოთ. სხვაგვარად, როგორც ამას პროგრამის შესავალი ნაწილი გვაგებინებს, ფასი არ ექნება ეროვნულობის შეგნებას, ტრადიციისადმი პატივისცემის გრძნობას.

მკაფიოდ გამოხატულია, რომ ზოგან ქართული ცეკვა პოზიციას თმობს, თვითმიზნურობით გატაცებულა, არაქართული, შეუსაბამო საღებავებით კოპწიაობს, მამაპაპურ სახეს კარგავს.

ასეთი ვითარებიდან თავის დაღწევა ქართული ცეკვების ფესვებთან დაბრუნებამ უნდა შეგვაძლებინოს. ამის მნიშვნელობაზე პროგრამაც გვეხმაურება – შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე „ამოიცნობს ცეკვის ნაცნობ ელემენტებს“.

რა თქმა უნდა, მხედველობაშია ძირეული ქართული საცეკვაო მონაპოვრები, საცეკვაო ლექსიკა, ეროვნული ნიშან-თვისებანი, ქართული საცეკვაო ხასიათი.

ზემოთ ვთქვით, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ ფრიად სასიკეთო, ვიტყოდი, მამულიშვილური ნაბიჯი გადადგა.

ამ წამოწყებათა შესახებ აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტრომ დასახა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, კერძოდ, ის, რომ საფუძვლიანად განიხილება წარმოდგენილი პროგრამა, საჯარო ვითარებაში ჩამოყალიბდება მისაღები წინადადებანი. განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ აჭარის, ქალაქ ბათუმის ქორეოგრაფიული ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწენი.

გარდა ამისა, შეიქმნება საკოორდინაციო საბჭო, რომელიც თვალყურს მიადევნებს, თუ როგორ, რა ფორმით და შინაარსით წარიმართება ქართული ცეკვის სწავლება საჯარო სკოლებსა და კერძო სასწავლო დაწესებულებებში, ჩატარდება საჩვენებელი ქორეოგრაფიული გაკვეთილები.

რა თქმა უნდა, საერთო საქმეში ჩაებმება საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის საკონსულტაციო ჯგუფი, რითაც საიმედო განწყობილებას შევქმნით სკოლებში.

საჯარო სკოლების, სკოლის გარეშე დაწესებულებების და სხვათა ქორეოგრაფიული ცხოვრება საერთო საზრუნავი, იგივე შინაური საქმეა. მივენდოთ დიდი ილიას შეგონებას: – „ჩვენი შინაური საქმეები ერთგვარი ხორბალია, ჩვენვე უნდა გავცხრილოთ, გავანიავოთ, დავფქვათ, მოკბილოთ და ჩვენი ჭკუის თონეში ჩვენივე ხელებით გამოვაცხოთ“.

ემოციებში გაცოცხლებული წარსული

წინა დღეს ლეგენდარულ მოცეკვავეს, იუბილარ ფრიდონ სულაბერიძეს შევხვდი. სურათები დავათვალიერეთ, წარსულს გადავავლეთ თვალი, სხვა მოცეკვავეებიც გავიხსენეთ, მსახიობებიც. ბატონმა ფრიდონმა ბრძანა, ყველა დიდი მსახიობი ჩემი მეგობარი და კარგი ნაცნობი იყო, აი, განსაკუთრებით კი ბატონი ოთარ მეღვინეთუხუცესი, მისი მეუღლე, ასევე ცნობილი მსახიობი გურანდა გაბუნია კარგად ცეკვავდა და ჩვენი ანსამბლის წევრი იყოო. გადავწყვიტე, შინ ვწვეოდი ამ დიდ მსახიობებსა და ადამიანებს და გვესაუბრა სუხიშვილების ანსამბლზე, ფრიდონ სულაბერიძეზე. სამივე დიდების ვარსკვლავის მფლობელია, ბატონ ფრიდონ სულაბერიძის ვარსკვლავი დიდი საკონცერტო დარბაზის წინაა გახსნილი, ქალბატონ გურანდასი და ბატონ ოთარისა კი მარჯანიშვილის თეატრის წინ. სამწუხაროა, რომ გაზეთის ფურცლებზე სრულყოფილად ვერ გადმოსცემ იმ ემოციებს, განცდებს, რასაც ბატონი ოთარი და ქალბატონი გურანდა გამოხატავდნენ ქართულ ცეკვაზე საუბრისას. ჩემს წინ ჭეშმარიტად დიდი მსახიობები ისხდნენ. გავკადნიერდები და მაინც შევეცდები მათი ემოციების მკითხველამდე მიტანას.

ოთარ მეღვინეთუხუცესი: — ახალს არაფერს არ ვამბობ, ყველას აქვს ნათქვამი, რომ არაჩვეულებრივი ანსამბლი შექმნეს ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა. ეს ძველ ანსამბლსაც ეხება და ამჟამინდელსაც. მათ კონცერტებს როცა ესწრები (გურანდა არ აცდენს მათ არცერთ გამოსვლას), ადამიანს ჟრუანტელი გივლის, დიდი და გაუგონარი აღფრთოვანება გეუფლება. სურვილი გიჩნდება, რომ იყვირო, აჰყვე მათ, მათსავით ცერებზე დადგე. საოცარი სიამაყის გრძნობაა, რომ ეს ყველაფერი შენი ერის კუთვნილებაა, მხოლოდ შენია. ასეთ გრძნობას იწვევს ქართული სიმღერა და ხალხური პოეზია. ეს არის ჩვენი სიმდიდრე. ჩემი გურანდა ამ ანსამბლში ოთხი წლის განმავლობაში ცეკვავდა, მე რეპეტიციებზე დავყვებოდი და, ბუნებრივია, ყველას ვიცნობდი, გოგონებსაც და ვაჟებსაც, ვმეგობრობდით, ზოგჯერ ვქეიფობდით, ღვინოს ერთად ვწრუპავდით (იღიმება), აბა როგორ, მამკაცები ვიყავით. ის თაობა მართლაც რომ საამაყო თაობა იყო. არა, სხვა თაობის წარმომადგენლებიც შესანიშნავები იყვნენ, მაგრამ ისინი სასწაულებს ახდენდნენ, ისინი განუმეორებლები იყვნენ.

ესტონეთში ვიყავით ათი დღის განმავლობაში, ქართული კულტურის დღეები ტარდებოდა, კინოსა და თეატრის მსახიობებიც წაგვიყვანეს. იქ შემხვდა ერთი ცნობილი ოპერატორი, რომელსაც ორი წელი უმუშავია ჩინეთში და მთელი მსოფლიო ჰქონდა მოვლილი. აღფრთოვანებას ვერ მალავდა, მარტო ამდენი ლამაზი ქალი ერთად ჩემს სიცოცხლეში არ მინახავსო და მგონი მსოფლიოში არც მოიძებნებაო. განსაკუთრებული აზრისა იყო ვაჟ მოცეკვავეებზე, მათ ვაჟკაცურ იერსა და გამომეტყველებაზე. სწორედ ამ თაობას არგუნა განგებამ ეს წარმატებები, მათ გაიტანეს ქართული ცეკვის მადლი საქართველოს გარეთ, რითაც მსოფლიომ გაგვიცნო. ამ საოცარ ანსამბლში მაინც იყვნენ გამორჩეულები. როცა დათო ბასილაშვილი ავად გახდა, ფილტვების ანთება დაემართა და რაღაც პერიოდი ვეღარ ცეკვავდა, კოკატრიქსს, ანსამბლის მაშინდელ პროდიუსერს, უთქვამს, სად არის ის ბიჭი, „სიმდის“ შესრულებისას პირველი რომ მოდისო, იმდენი ქნა, სანამ არ გამოაყვანინა, კონცერტზე მის საყურებლად მოვდივარო.

გურანდა გაბუნია: — მართლაც რომ საოცარი იყო დათო ბასილაშვილი: კეხიანი ცხვირით, მაღალი, ვიწრო წელით და ბეჭგანიერი, როგორც კი „სიმდის“ ცეკვა დაიწყებოდა, ის პირველი შემოდიოდა გრძელსახელოებიანი ჩოხით, გამოჩნდებოდა თუ არა, დარბაზი უკვე „ინგრეოდა“, გუგუნებდა და ქუხდა.

ოთარ მეღვინეთუხუცესი: — ჩემზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებებს ახდენდნენ იაშა ზედაშიძე და გიზო ბერაძე. განსაკუთრებით „მთიულურში“, სადაც ძალიან კაცური მოძრაობებია, წარმოუდგენელ ილეთებს აკეთებდნენ. მუხლიდან რაღაც მოძრაობებით პირდაპირ ცერზე გადადიოდნენ ტრიალში. ეს მარტო მოძრაობები არ იყო, ეს შინაგანი ცეცხლი ჰქონდათ მათ. ეს ცეცხლი საოცრად ჰქონდა ნინო რამიშვილს. ეს დალოცვილები მართლაც რომ ცეკვისთვის იყვნენ დაბადებულები.

გურანდა გაბუნია: — ნინო რამიშვილი არ ცეკვავდა „ყაზბეგურს“ გიზოსა და იაშას გარეშე. ხომ შეეძლო ორს ეცეკვა, არა სამივე ერთად უნდა ყოფილიყვნენ, ნინო ისე არ იცეკვებდა. გიზო და იაშა ყველაფერს ისე აკეთებდნენ, როგორც ნინოს უნდოდა, როგორც მას უყვარდა. შეიძლებოდა დამდგარიყო და უბრალოდ, ჩვეულებრივად ხელი აეწია, მაგრამ ეს ისე სრულდებოდა, რომ სხვა ვერავინ გააკეთებდა. ეს იყო მის სულში, გულში და მთელ სხეულში გამჯდარი. ნინოსავით ამ ცეკვას ვერავინ ასრულებდა.

ამირან ბუთურიშვილი: — ქალბატონო გურანდა, თქვენ სოლისტი იყავით ანსამბლში?

გურანდა გაბუნია: — არა, სოლისტი ვიყავი ბუხუტი დარახველიძესთან კომკავშირულ ანსამბლში, მედალიც მაქვს აღებული, მაგრამ ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ანსამბლში სოლისტი არ ვყოფილვარ. „ხონგაში“ ვიცეკვე სოლო, სამი გოგონა ვასრულებდით ამ ცეკვას. ეს სულ სხვანაირი ანსამბლი იყო, აქ თუკი იყავი, ეს უკვე დიდი პატივი იყო და მნიშვნელობა არ ჰქონდა, სოლოს იცეკვებდი თუ არა. იმ დროს ორი უდიდესი ანსამბლი იყო: გრიგოლ მოისეევის ანსამბლი მოსკოვში, რუსეთში და აქ ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ანსამბლი.

ამირან ბუთურიშვილი: — ფრიდონ სულაბერიძეზე რას გვეტყვით, იგი იუბილარია, 70 წლის გახდა...

ოთარ მეღვინეთუხუცესი: — რას ამბობთ, ფრიდონი 70 წლისაა? როგორ გარბის დრო. ვულოცავ, უფალმა ჯანმრთელობა არ მოაკლოს. ფრიდონზე შემიძლია ვთქვა, რომ მადლცხებულია დაბადებული. რამდენი ცეკვა უნდა გამოვყო, სადაც მართლაც რომ შეუდარებელია. „აჭარული“... „კინტაური“... გინახავთ მისი შესრულებით „კინტაური“? მასავით ხომ არავის უცეკვია „კინტაური“, ნურავინ დაიბრალებს. ერთი ჟორა შავგულიძე მახსენდება „ქეთო და კოტეში“. თუმცა, არა, ეს რაღაც მოძრაობაა, ფრაგმენტია, დრამატულ მსახიობს სად შეეძლო მთელი ცეკვის სრულყოფილად შესრულება, რაც ფრიდონს ნახაზი აქვს გაკეთებული. თითქოს იმტვრევა, ქვევით ჩადის და მერე წამოიმართება, ზევით ამოდის, ფრიდონმა კინტოს ვაჟკაცობის ელემენტიც შესძინა, თანაც როგორ დაიჭირა მისი ხასიათი, როგორ დაგვანახა მისი შინაგანი სამყარო. კინტოები ხომ ყარაჩოხელები არ იყვნენ, ეს უფრო სხვა ტიპის ხალხი იყო, მაგრამ მაინც ძველი თბილისის კოლორიტები იყვნენ, მათ გარეშე იმ დროის თბილისი წარმოუდგენელი იყო. ფრიდონის ცეკვაზე ძველი თბილისი გეშლება თვალწინ, ამ ცეკვის დროს ვხედავ, თუ როგორი იყო ჩემი თბილისი წარსულში და ფრიდონს მთელი მისი ბიოგრაფია მოაქვს. ახლაც ჟრუანტელი მივლის ამ ცეკვის გახსენებაზე. ეს არ არის მხოლოდ ცეკვა ტაშისათვის, ეს რაღაც განუმეორებელი ფენომენია! აი, „ქართულში“ კი მისი ფეხის გასმა რაღაც განსაკუთრებულია, კი არ დადის სცენაზე, არამედ თითქოს თხილამურებით დასრიალებს. სხვისი შესრულებაც გვინახავს და ძალიან კარგიც, მაგრამ ეს სულ განსხვავებულია. ღმერთმა მისცა ამას რაღაც, უთხრა, შენ გქონდეს ეს უნარიო. სწორედ ეს უნარი გვაოცებს. ეს მართლაც ცოცხალი ლეგენდაა და ვთვლი, რომ ფრიდონი არის ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მოცეკვავე.

გურანდა გაბუნია: — გავიხსენებ ფრიდონს რეპეტიციებზე. მე არ მახსოვს ფრიდონი დამჯდარი, ან შესვენებაზე ვინმესთან უსაქმოდ მდგარიყო და ელაპარაკა, მისთვის შესვენება და თავისუფალი დრო არ არსებობდა. სხვა რომ ისვენებდა, მას მხრებზე სიმძიმე ედო, მხრები გაშლილი ჰქონდა, ტანი სწორად უნდა ჰქონოდა და ფეხით ისე აკეთებდა გასმას. მე, როგორც მსახიობს, კეთილი შურით მშურდა მისი პროფესიონალიზმისა, აბა, სხვა რა შეიძლება უწოდო მის ასეთ დაუღალავ შრომას. დამეთანხმეთ, რომ ეს ნიჭია ღვთითბოძებული.

ოთარ მეღვინეთუხუცესი: — მიშა მესხზე გამიგია, პეპლებს დასდევდაო. პეპლები ხომ სწორ ხაზზე არ მოძრაობენ და დაფარფატებენ და, კიდევ, მოხნულ მიწაზე დარბოდაო. მოხნულ მიწაზე თუ დარბოდა, მინდორზე რაღას იზამდა?! ეს რამ მოაფიქრა იმ დალოცვილს, ეს ალბათ, საქმის დიდმა სიყვარულმა იცის. ფრიდონმა კი მხრებზე სიმძიმეების დადება მოიფიქრა, და ფეხებს ისე უსვამდა. ფრიდონმა დროს გაუსწრო.

ამირან ბუთურიშვილი: — ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონი ფრიდონი ამბობს: ქართული ცეკვა მარტო ცეკვა არ არის, ის სულიერი აღზრდის დიდი სკოლაა. ყველა ძლიერი ფეხბურთელი ქართულ ცეკვას ცეკვავდა. მიშა მესხი თავისი ცნობილი ფინტების შესრულებისას ქართული ცეკვის ილეთებს იყენებდა და სწორედ ეს აოცებდა მსოფლიოს. რაც შეეხება ქართულ ცეკვას, ბატონმა ფრიდონმა ბრძანა, რომ უკვე 70 წლის ვხდები, მაგრამ კიდევ ვერ ჩავწვდი ქართულ ცეკვას და ბოლომდე ვერ დავიმორჩილეო...

გურანდა გაბუნია: — არა, ნამდვილად დაიმორჩილა. ახლა, ნუ ტყუის...

ოთარ მეღვინეთუხუცესი: — ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ფრიდონი დიდი პიროვნებაა. ქართული ცეკვა ხომ მართლაც ამოუწურავი საწყაოა, რაც უფრო ღრმად ჩადიხარ, უფრო საინტერესო ხდება და მისი ყველა ნიუანსის წვდომის ჟინი გიპყრობს, მაგრამ არა, ეს სულ სხვა ფენომენია, ბოლომდე მართლაც ვერ ჩაწვდები, ვერ ამოწურავ შესაძლებლობებს. ეს იგულისხმა, ალბათ, ფრიდონმა. ეგრეც იქნება. აი, ახლა, სუხიშვილების ბიჭი რომ მოვიდა და რაღაც ძვრებს რომ ახდენს, ყველა ვერც გაიგებს ერთბაშად. ახალი როცა ჩნდება, რა თქმა უნდა, იმას მოწინააღმდეგეებიც ბევრი გამოუჩდება, მაგრამ ძვრა ხომ ხდება, რაღაც იცვლება, ეს ასევე გაგრძელდება...

გურანდა გაბუნია: — ილიკოზე დავამატებდი, რომ ის ნამდვილად თავისი ოჯახის შვილია, ის არის გამგრძელებელი იმ დიდი საქმისა, რომელიც შექმნეს მისმა ბებიამ და ბაბუამ. ილიკო სუხიშვილი და ნინო რამიშვილი ქართულს სულ სხვაგვარად ცეკვავდნენ, მაგრამ ეს იყო მათი ცეკვა, მათი ინდივიდუალური გამოვლინება და, რაც მთავარია, ეს იყო დასაწყისი ქართული ცეკვებისა. ყველა კონცერტზე „ილაურს“ რომ ცეკვავენ, ეს ცეკვა ილიკოსი და ნინოს ცეკვა იყო. ნინომ ბევრი ცეკვა შექმნა, თუნდაც „ნარნარი“, მაგრამ ასევე იყო სრულიად განსხვავებული ცეკვები, სადაც ქალის სინაზეს უკვე ვაჟკაცობა ცვლიდა. აბა, მთიელი ქალები „ნარნარს“ იცეკვებდნენ? მთებზე ხომ დახტოდნენ ეს გოგოები. „ნარნარი“ ნინოს მოგონილი იყო. სხვა ცეკვებიც შექმნა ნინომ. სწორედ თვითონ მისცა ბიძგი თავის შვილიშვილს, თვითონ ცეკვავდა კაცურად. პატარა ილიკო საქართველოსთვის ნამდვილი მოვლენაა. მან ანსამბლში იმდენი იმუშავა, რომ ყველა სოლისტი გახადა და ყველას შეუძლია ნებისმიერი ცეკვის შესრულება. მე და ჩემი ქალიშვილი მის ერთ-ერთ კონცერტზე ცრემლებად ვიღვრებოდით. ერთხელ მათ კონცერტზე იაშა ზედაშიძის გვერდით ვიჯექი, მომიბრუნდა და მითხრა, შეხედე, როგორ აცეკვებს ყველას, ჩვენთან ამას მხოლოდ ერთი-ორი აკეთებდაო.

ოთარ მეღვინეთუხუცესი: — რაც გურანდამ თქვა ილიკოსთან დაკავშირებით, ცხადია, ასე ერთბაშად არ მოდის, ცარიელ ადგილზე ვერ აღმოცენდება, ამას საფუძველი სჭირდება, ტრადიცია. ეს ყველაფერი ოჯახიდან მოდის. ისევე, როგორც ფრიდონი ხშირად ახსენებს თავის მასწავლებელს ავთო თათარაძეს, რომ მისნაირად არავინ ცეკვავდაო. ვისგანაც მიიღო ცოდნა, მისთვის იდეალად დარჩა. შენი წინაპრით ყოველთვის უნდა იყო აღფრთოვანებული, რომ წამოიღო ის, რამაც ასე გადაგრია, გაგაგიჟა და გაქცია ამ საქმის მონაწილედ. ყველა კარგი ფეხბურთელი კარგი მწვრთნელი ვერ ხდება, მაგრამ ეს დალოცვილი ფრიდონი ისევ ამ საქმეში დარჩა და დიდებული დამრიგებელი დადგა მომავალი თაობისა. აბა, გამოკითხეთ ქორეოგრაფები, პროფესიონალი და მოყვარული მოცეკვავეები, ანდა უბრალო თაყვანისმცემელი ქართული ცეკვისა, რამდენი დაგისახელებთ იდეალად ფრიდონ სულაბერიძეს. დარწმუნებული ვარ, — ძალიან ბევრი! არც შეცდებიან. ფრიდონი ქართული ცეკვის გენიოსია! ამჟამად ანსამბლ „რუსთავის“ მთავარი ქორეოგრაფია და, მგონი, იქვე ბავშვთა სტუდიასაც ხელმძღვანელობს. წარმოიდგინეთ, რა ბედნიერები არიან ეს ბავშვები, ყოველ რეპეტიციაზე ქართული ცეკვის ლეგენდას ხვდებიან. რამდენი რამის შესწავლა შეიძლება მისგან.

ფრიდონ სულაბერიძე 70 წლისაა!



ფრიდონ სულაბერიძეს

შეეპარაო სიბერე ბერთას,*
შეეპარაო, იტეგიან სხვანი.
„არა და არა!“ — მას დიდმა ღმერთმა
უბოძა ცა და უბოძა ფრთანი.
უბოძა მზე და უბოძა მთვარე,
მგლის მოუღლელი უბოძა მუსლი,
ქაჯეთის ციხეს კვლავ უსსნის კარებს
„ქართულ სულს კვლავაც ბეგარას უხდის“.
ულიმის ფიქრში იმ მამაც ტოტებს,
იეგნენ ცრუ სოფლის როშელნიც ურჩი,
ტოკავს და ისეთ ნაკვალევს ტოვებს,
როგორც ტილოზე დიდ მსატვრის ფუნჯი.
როკავს და ხედავს: ბინდში თვლემს სამცხე.
ხანსალის ტბასთან ვანკაში არის,
ღმერთმა არა ქნას, ოდესმე დაცხრეს,
ოდესმე დაცხრეს მის სულში ქარი.
სტკივა ქემერტი და სტკივა რიწა,
ცოცხლობს კვლავ სულის წადილის გამო
და ფეხით ისე ეხება მიწას,
თითქოსდა მისგან გაქცევას ლამობს.
ცეცხლის მნათობი კვლავ აფრქვევს ალმურს,
სწუდება ბროლ-ბაკმი თვალთაგან მუშთარს,
როცა ქართველი დაუვლის დაფლურს,
მთვარეც ხელებს შლის და იწყებს შუშპარს.
შეეპარაო სიბერე ბერთას,
შეეპარაო იტეგიან სხვანი,
„არა და არა!“ — მას დიდმა ღმერთმა
უბოძა ცა და უბოძა ფრთანი.

ერეკლე საღლიანი

**ბერთა – ქართული მონასტერი ისტორიულ საქართველოში, კლარჯეთში.*

70 წლის ფრიდონ სულაბერიძეს

უფალმა უხვად გიბოძა
ნიჭი ქართული ცეკვისა,
მეგზურად მუდამ თახა გდევს
ლოცვა და სითბო დედისა.

როგორ არ ვაქო, ვადიდო,
ფეხი ლამაზად გასმული,
როკვის ილეთთა აკიდო,
მარგალიტებად ასხმული.

ხელთუქმნელ მეგლად აქციე
კედლით შემკული „ქართული“,
ამ შედევრშია შენს მიერ
ღვთიური მადლი ჩართული.

ყარაჩოხელის დუდუკი
კინტოს მუსიკით უხათებს,
უსადო ხიბლით აცოცხლებ
„ძველი თბილისის სურათებს“.

ლაღად გაშლილი მკლავებით
ამაყად უვლი „განდაგან“,
შენს ცეკვას როცა ვუყურებ,
სიზმრის მგონია ხახდასან.

ტაშს გიგრავს მთელი მსოფლიო
და ფეხზე მდგარი „ლა-სკალა“,
ქართველმა ხალხმა შეგრაცხა
ცეკვის ბეშარიტ ვარსკვლავად.

თენგიზ უთმელიძე

ჩემი სიცოცხლე და გულისტკივილი

ჩემი დღევანდელი სათქმელი რომ გითხრათ, შორიდან უნდა დავიწყო: ცეკვა ისე პატარას არ დამიწყია, როგორც დღეს იწყებენ ბავშვები, მაგრამ მას შემდეგ, რაც დავიწყე, ჩემს ცხოვრებაში დღე არ ყოფილა ცეკვის გარეშე, ცეკვა გახდა ჩემთვის უდიდესი სიყვარულიც, პროფესიაც, მიზანიც, თავშესაფარიც, თვითგამოხატვის საშუალებაც და არც ის იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვი, რომ მე ცეკვით ვცხოვრობ და ვცოცხლობ. ამ ყველაფერს იმიტომ ვამბობ, რომ გამოვხატო, რა მნიშვნელობა აქვს ხელოვნების ამ დარგს ჩემთვის და როგორი გულშემატკივარი ჰყავს მას ჩემი სახით. ამიტომაც, როცა მე აზრს გამოვთქვამ ქართული ცეკვის შესახებ, ისეთივე გულწრფელი ვარ, როგორც ბიბლიაზე დაფიცებული მოწმე. ჩემი სიმართლე კი ისაა, რომ ცეკვა, ხელოვნების ნებისმიერი სხვა დარგის დარად, თანამედროვეობას უნდა ეხმაურებოდეს და მასში ეძებდეს თავის ადგილს. თუმცა, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ თანამედროვეობა, აწმყო დაკავშირებულია როგორც წარსულთან, ასევე მომავალთან. ფოლკლორი წარსულის ფესვებიდან მოდის, აწმყოში იხვეწება, ვითარდება და ისე გადაეცემა მომავალს. ამიტომაც ფოლკლორში წარსულის შევიწროება და უგულებელყოფა, ანდა აწმყოს მოთხოვნილებათა გაუთვალისწინებლობა მხოლოდ ზიანს მოუტანს მას. ყველა ქორეოგრაფი ნოვატორი ვერ იქნება და არც მოეთხოვება, მაგრამ თუ ის ნოვაციის საჭიროებას ხედავს და საერთოდ უარყოფს მას, ე.ი. უნიჭოა და მის ხელოვნებას მომავალი არ აქვს. თუმცა... აი, აქ დიდი „თუმცა“ უნდა დავწერო: თუმცა, ნოვაციის დანერგვისას უდიდესი სიფრთხილე, ზომიერების გრძნობა, ქართული ფოლკლორის ძირფესვიანი ცოდნა და მისი თავისებურებების გათვალისწინებაა საჭირო. ცოცხალი ორგანიზმის განვითარებისათვის მისი სისტემატური გამოკვებაა საჭირო. მაგრამ როგორც საკვების მოკლება ვნებს მას, ასევე ვნებს საკვების ჭარბი დოზით მიღებაც. ასეა ფოლკლორიც – სანამ ერთ ახალ მოძრაობას, ახალ ელემენტს შევიტანთ, ასჯერ უნდა ავწონ–დავწონოთ და გავზომოთ ყველაფერი, რადგან ტრადიციის რღვევა, მართალია, გარდაუვალი, მაგრამ მტკივნეული პროცესია და უნდა ვეცადოთ ეს, რაც შეიძლება, უმტკივნეულოდ მოხდეს. არადა, რამდენი ტრადიცია, რომლებმაც თავიანთი ისტორიული ფუნქცია ამოწურეს და მოძველდნენ, შეგვიცვლია, ანდა სულაც დაგვიკარგავს. რა თქმა უნდა, ეს არ ეხება მარადიული ღირებულებების მატარებელ, ერის მაცოცხლებელ, მისი სულიერების შემნარჩუნებელ ტრადიციებს. მოძველებულ ტრადიციებს რაც შეეხება, ერთი ფილმი მახსენდება: მეფე მიმართავს ცოლს – კი მაგრამ, მე ვინ ვარ, რომ ტრადიცია შევცვალოო. ცოლი კი უპასუხებს, – მე მეგონა, შენ მეფე იყავიო. დიახ, ტრადიციას ვინც ცვლის, ნოვაციას ვინც ამკვიდრებს, ჟარგონით რომ ვთქვა, მაგარიც ის არის, ოღონდ ნოვატორმა ძალიან არ უნდა „შეუბეროს“ და გადაამლაშოს; გადამლაშება ყველაფერს აფუჭებს, ამასთან, ყველას უნდა ახსოვდეს, რომ არსებობს ისეთი რამ, რისი ხელის

ხლებაც არ შეიძლება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის გენიალური და მარად თანამედროვეა და არც ერთ ეპოქაში არ დაკარგავს აქტუალობას. მაგალითად, არ შეიძლება „ცეკვა ქართულის“ შეხება. ისევე, როგორც არ შეიძლება ეგვიპტური პირამიდის ხელის ხლება და მისთვის თანამედროვე დიზაინის ელემენტების მიწებება. იმავეს ვიტყვი „ხორუმსა“ და კიდევ რამდენიმე ცეკვაზე.

არ შემიძლია, არ შევეხო კიდევ ერთ თემას: თანამედროვე ქართულ ცეკვაში გარდაუვალი იყო ქალის გააქტიურება, რამდენადაც ხელოვნება სარკეა და მასში ზედმიწევნით აისახება ცხოვრებაში მიმდინარე პროცესები. ქალები ცხოვრების ასაპარეზის ყველა სფეროში გააქტიურდნენ და ამდენად, ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა საცეკვაო სცენაზე ქალის როლის მზარდი დოზებით წარმოჩინება, მაგრამ მეჩვენება, რომ ამ საკითხში, ცოტა არ იყოს, გადავაჭარბეთ. მამაკაცის ილეთებით მოცეკვავე ქალი ცუდი სანახავი როდია, მაგრამ ვატყობ, სცენაზე ის მამაკაცზე მეტად იტვირთება, რადგან ქალისასაც ცეკვავს და კაცისასაც. შეიძლება, მე ვერ ვამჩნევ და თუ ცხოვრებაშიც ასეა მამაკაცის მნიშვნელობა შემცირებული ქალთან შედარებით, ვერ ყოფილა ჩვენი საქმე მთლად კარგად და ეგაა.

კიდევ: ნოვაციის დანერგვისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველები ვართ და თანამედროვეობას ქართულად უნდა მივდიოთ. არ შეიძლება ქართულ ფოლკლორულ ცეკვებში უცხოური ცეკვის ელემენტები დავამკვიდროთ. ჩვენი მოძრაობები იმდენად მრავალფეროვანი და დახვეწილია, ამ მხრივ იმხელა არჩევანი გვაქვს, ნიჭიერ და გემოვნებიან ქორეოგრაფს არ უნდა სჭირდებოდეს უცხოური მოძრაობების გამოყენება. იმავეს ვიტყვი საკრავებზე, ქართული ცეკვა ქართული საკრავების აკომპანიმენტით უნდა სრულდებოდეს. შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ მარტო დოლ–გარმონი უნდა იყოს, მაგრამ რამდენი საკრავიც არ უნდა გამოვიყენოთ, ისინი აუცილებლად ქართული უნდა იყოს. ისე კი, ჩემი აზრით, ქართული ცეკვა განსაკუთრებულ ხიბლს იძენს, როცა ის ქართული სიმღერის თანხლებით სრულდება: სიმღერა სმენას ატკბობს, ცეკვა – მხედველობას და როცა ეს ერთდროულად ხდება, სხვისი არ ვიცი და, პირადად ჩემთვის ორმაგად სასიამოვნოა.

ქართული ცეკვა ყოველდღიური საფიქრალი და საზრუნავია, რადგან როგორც თავში აღვნიშნე, მე ცეკვაში ვცხოვრობ და ჩემი სული და გული ისე მაქვს მასში ჩადებული, როგორც ზურაბია სურამის ციხეში. ამიტომაც ყველაფერი, რაც ცეკვას შეეხება, პირდაპირ ან არაპირდაპირ შემეხება მეც. რამდენჯერაც მე გასმა გამიკეთებია, იმდენი სიტყვა რომ დავწერო, შეიძლება „ომი და მშვიდობაზე“ დიდი წიგნი გამომივიდეს.

ცეკვაა ჩემი სიხარულიც და გულისტკივილიც და შევეცადე, ნაწილობრივ მაინც გამომეთქვა ჩემი ნაფიქრი და ნააზრევი, რასაც ქართული ფოლკლორის დღევანდელი დღე მკარნახობს.

ფრიდონ სულაბერიძე,
საქართველოს სახალხო არტისტი

ფოტოისტორია

კონსტანტინე მანჯგალაძე, ფრიდონ სულაბერიძე, ავთანდილ თათარაძე, რომან ჭოხონელიძე.

რომი. 2009 წელი ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის გახსნა. ანდრეა ბოჩელთან ერთად

ფრიდონ სულაბერიძე 70 წლისაა!

ვერავინ შეძლო, დაეჯაბნა ცეკვა "ქართული"

ვისაც ფრიდონ სულაბერიძის ცეკვა სცენაზე ერთხელ მაინც უნახავს, ამ სანახაობის შეფასება უემოციოდ ნამდვილად გაუჭირდება. მისი სახელი ქართულ ცეკვასთან ასოცირდება. თავად მისი დამოკიდებულება კი ქართული ცეკვის ფენომენისადმი მისსავე ცეკვაში გამოიხატება. ცეკვაში, რომელშიც ყოველი მოძრაობა ზედმიწევნით ზუსტია და საოცრად ნაღდი. სხვა უამრავ ხალხთან ერთად ფრიდონ სულაბერიძე არაჩვეულებრივი პიროვნული თვისებების მატარებელი ადამიანია, გულწრფელი, კეთილგანწყობილი, პრინციპული, თავისი სიტყვისა და საქმის ერთგული.

ცეკვის ილეთებს პირველად დედის, ნადია ჟვანიას, უშუალო მითითებებით დაეუფლა. ამიტომაც ცეკვისადმი განსაკუთრებულ სიყვარულს ფრიდონ სულაბერიძე სწორედ დედას უმადლის. ის თურმე არაჩვეულებრივად კარგად ცეკვავდა.

– ძველად სოფელში იმართებოდა „ჯარიანობა", სადაც დედა ხშირად თავის თანატოლებსა და მეგობრებთან ერთად ცეკვავდა. პატარა ვიყავი, მაგრამ დღემდე მახსოვს, როგორ ასრულებდა თითოეულ ცეკვას, საოცრად ნაღდი მოძრაობებით. პირველი გასმა დედამ მასწავლა, მას ძალიან უნდოდა ხელოვანი გავმხდარიყავი.

დედა ყველაზე კარგად გრძნობდა შვილის შესაძლებლობებს და ალბათ, ამიტომაც უსაფუძვლო როდი იყო მისი ოცნება. შესაძლოა, ის ვერც ვერასოდეს იფიქრებდა, რომ ცეკვაზე უზომოდ შეყვარებული პატარა ბიჭი ოდესმე „ქართულის" ე.წ. გასმის დიდოსტატი გახდებოდა.

– სკოლის ასაკში ცეკვის წრეზე დავიწყე სიარული. ჩემი პედაგოგი ვანო მამრიკაშვილი გახლდათ, ის რკინიგზელთა სახლში მიშა ბახტაძესთან ცეკვავდა. არ ვიცი, რას დავაბრალო, მაგრამ, არცერთ ცეკვაში არ მაყენებდა. მაგრამ, მიხდებოდა კოსტიუმი და ამიტომ ყველა აღლუმზე დამატარებდა. მიუხედავად მისი გულგრილი დამოკიდებულებისა, მაინც გაღვივდა სიყვარული ცეკვისადმი.

მერე იყო სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებლის ქორეოგრაფიული განყოფილება. აქ კი ნამდვილად არაჩვეულებრივი პედაგოგის მზრუნველობის ქვეშ აღმოჩნდა.

– ავთანდილ თათარაძე იყო არა მარტო კარგი პედაგოგი, არამედ თეორეტიკოსი, პრაქტიკოსი, ყველაფერს ისე გიხსნიდა, რომ ფანატიკურად შეგყვარებოდა. მეც თავდაუზოგავად ვშრომობდი. დილიდან საღამომდე ვვარჯიშობდი. ჩემთვის ცეკვის გარდა არაფერი არსებობდა. ავთო თათარაძე თავისი მოღვაწეობით დავით ჯავრიშვილის მემკვიდრე იყო, მზრდიდა როგორც შვილს და არა მარტო როგორც მოსწავლეს. მეხმარებოდა ყოველგვარი პრობლემის მოგვარებაში და, საერთოდ, საოცარ კეთილგანწყობას იჩენდა ჩემ მიმართ. ყველაფერში გვერდით მედგა.

მოგვიანებით, როცა ავსტრიაში გამართული მსოფლიო ფესტივალისათვის შესარჩევი კონკურსი გაიმართა, ფრიდონ სულაბერიძე სამი ცეკვით წარდგა ჟიურის წინაშე. ჟიურის ილიკო სუხიშვილი თავმჯდომარეობდა. გამგზავრების პატივი ბუხუტი დარახველიძის ანსამბლს ხვდა წილად, მაგრამ იმის გამო რომ ცეკვა „ქართული" შემსრულებელი ანსამბლს არ ჰყავდა, კანდიდატად ფრიდონ სულაბერიძე წარადგინეს.

– ვენაში 12 ვაჟი და ლატავრა ფოჩიანი გავემგზავრეთ. საქართველოს დელეგაციას იმდროინდელი კომკავშირის ცეკას პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობდა. მთელი გზა ვცეკვავდით. ვენაში, ხალხით გაჭედილ დიდ მოედანზე, სიჩუმე იყო. სოციალისტური ქვეყნების სტუმრობით აღფოთებული ავსტრიელები ფესტივალის გახსნას აყოვნებდნენ. მაშინ ედუარდ შევარდნაძემ გვითხრა: „აბა, ფარიკაობა დავიწყოთ"... და ფესტივალიც დაიწყო. ჟიურის თავმჯდომარე იყო ნადეჟდინა, ანსამბლ „ბერიოზკას" ხელმძღვანელი. მან რომ ჩემი შესრულებული „ქართული" ნახა, კონკურსზე გამოსვლა მირჩია, მაგრამ...

ფრიდონ სულაბერიძის შემოქმედებითი გზა ყოველთვის ია-ვარდით არ იყო მოფენილი. დაბრკოლებაც არაერთხელ იგემა, მაგრამ თავისი ვაჟკაცური შემართებისა და ცეკვისადმი თავდადებული სიყვარულის გამო, ყოველთვის ყოველგვარ წინააღმდეგობას სძლევდა. ასე მოხდა ვენაშიც, როცა ის თავისდაუნებურად შეესწრო დანარჩენ ქართველ მოცეკვავეთა „შეთქმულებას", რომლებსაც ეგონათ, რომ ფრიდონ სულაბერიძე აუცილებლად გახდებოდა ოქროს მედლის მფლობელი. ის კი მათი ანსამბლის წევრი არ იყო. ერთადერთი, რომელიც „შეთქმულთ" განუდგა და ფრიდონ სულაბერიძეს გვერდიდან არ მოშორებია, იყო რეზო ჭოხონელიძე, რომლის მიმართაც განსაკუთრებული პატივისცემა და სიყვარული ბატონ ფრიდონს დღემდე შემორჩა. ფესტივალზე საქმე იქამდე მივიდა, რომ ცეკვის შემდგომ მუსიკოსმა დოლიც კი ჩახია. ცეკვა „ქართული" ამ ფესტივალზე, სამწუხაროდ, აღარ შესრულდა, მაგრამ ამას ერთი წამითაც არ შეუშლია ხელი იმისათვის, რომ ფრიდონ სულაბერიძე ცეკვა „ქართულის" აღიარებულ დიდოსტატად ქცეულიყო და ნებისმიერ ასაკში საოცარი მომხიბლაობით შეესრულებინა იგი.

– ფილარმონიის სოლისტი ვიყავი. შემდეგ ყველა მოცეკვავის საოცნებო ანსამბლ „სუხიშვილებში" მივედი. ანსამბლის ხელმძღვანელთათვის შრომისმოყვარეობა არ იყო უცხო და გასაოცარი, მაგრამ მე იმდენ ხანს ვვარჯიშობდი ხოლმე, ნინო რამიშვილი ეტყოდა ილიკო სუხიშვილს, „გააგდეთ ეს ბავშვი დარბაზიდან, თორემ ჭლექი დაემართებაო", შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ამ ადამიანებმა ჩემზე უდიდესი ზემოქმედება მოახდინეს.

მათ ბევრი რამ გააკეთეს ქართული ცეკვისათვის, მისი პოპულარიზაციისა და შენარჩუნებისათვის. მე მახსოვს გადაჭედილი დარბაზები და ანშლაგებით ჩატარებული კონცერტები მსოფლიოს დიდ დარბაზებში.

ჩვენს ანსამბლს წარმატებები ჰქონდა მთელ მსოფლიოში. ყოველთვის გული მწყდებოდა, რატომ არ იყო შესაძლებელი, მოცეკვავეები ისე გავჯიბრებოდით ერთმანეთს, როგორც, მაგალითად, ფეხბურთელები. ცეკვასაც თავისი სპორტული ჟინი აქვს. მოცეკვავეებსაც ჩვენი წილი სპორტული წვრთნა გვინევს. მით უმეტეს, სუხიშვილების ანსამბლში მართლაც სპორტულად მიდიოდა ჩვენი ცხოვრება. ნინო რამიშვილი დილის 11 საათიდან დღის 5 საათამდე დაუღალავად იჯდა რეპეტიციაზე და ჩვენც თავდაუზოგავად ვვარჯიშობდით.

ფრიდონ სულაბერიძის დამოკიდებულება ცეკვა „ქართულისადმი" მართლაც გამორჩეულია. როგორც აღვნიშნეთ, ეს ყველაზე კარგად ამ ცეკვის ფრიდონ სულაბერიძისეულ შესრულებაში იკითხება.

– ქართული ცეკვის ფენომენი გამორჩეულია. ლამაზი ტანი, ნიჭიერება, კარგი გასმა არ ნიშნავს, რომ ქართულ ცეკვას რეპეტიცია არ სჭირდება. პირიქით, მუდმივად უნდა ივარჯიშო. ცეკვა „ქართული" ამოუწურავია, ურთულესია, არ ეგონოს ვინმეს, რომ ცეკვა „ქართულს" ვინმე დაჯაბნის. ვახტანგ გუნაშვილი იყო ქართული ცეკვების უბადლო შემსრულებელი. ცერზეც დადგა, დატრიალდა, მუხლზეც დაუდგა, ყველა ღონე ჩართო მის შესრულებაში, მაინც ვერ დაჯაბნა.

ის არაჩვეულებრივი შინაარსის მატარებელი ცეკვაა. ჩვენ, ფოლკლორისტები ვემორჩილებით კანონს, რომელიც ჩვენამდე წინაპრებმა შემოინახეს, ცეკვისას ჩოხის კალთა არ უნდა გაიხსნას, ქალთან ახლოს არ უნდა მიხვიდე, შინაგანი რაინდობა უნდა გამოამჟღავნო, სიარულით, გამოხედვით, ყოველი მოძრაობით ქალს აწონებ თავს, ისიც გეკეკლუცება. ამის მარტო სწავლება გამორიცხულია. ეს არის კლასიკურ დონემზე აყვანილი ცეკვა.

ერთი კაცი გამოდიხარ მეწყვილესთან ერთად და დიდი ძალისხმევა გჭირდება, რათა დაიპყრო მაყურებელი. "ლა სკალაში" იყო შემთხვევა, რომ გასმის დროს ტაშით ლამის დაინგრა დარბაზი. მათ უკვირდათ, ჩვენი მოწიწება და დამოკიდებულება ქალის მიმართ. ვთვლი, რომ ტრადიცია არ უნდა დაიკარგოს. ფოლკლორი არ უნდა გავაუფერულოთ.

ფრიდონ სულაბერიძე დიდად აფასებს ტრადიციულობას და ამაყობს თავისი ქართველობით. ის სიამოვნებით იხსენებს ერთ მოვლენას, რომელიც ბრაზილიაში მოზაურობისას გადახდა თავს.

– კონცერტის მერე არაჩვეულებრივი გარეგნობის ასაკოვანი კაცი მოგვეგება კულისებში. ქართველი იყო, ტიროდა. ჩემს მეგობრებთან ერთად უდიდესი პატივი მცა. ის დიდი ხნის წინ მოხვდა ემიგრაციაში ბრაზილიაში და მონატრებული იყო ქართველებთან ურთიერთობას. იმდენად მოიხიბლა, რომ მასთან სახლში სტუმრობისას ჩემი ქამარ-ხანჯალი ვაჩუქე. სამშობლო არასოდეს მიატოვოო, – მითხრა. ვიგრძენი, როგორი ნოსტალგია აწუხებდა.



ფრიდონ სულაბერიძეს დღემდე არაჩვეულებრივად ახსოვს ორი ქართველის ერთი შეხვედრა მიუნხენში. ჯორჯ ბალანჩინმა ილიკო სუხიშვილს უთხრა: „შენ აღმოსავლეთში ხარ მაგარი, მე – დასავლეთშიო".

ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი ის ადამიანები არიან, რომელთა დავიწყება ფრიდონ სულაბერიძეს არ შეუძლია. მათგან საოცარ სიყვარულს გრძნობდა. ილიკო თურმე ხშირად ასე ეტყოდა, „მოდი შვილო, ჩემ გვერდით დადექიო".

– ჩემს ცხოვრებაში არ არსებობს დღე, ილიკო სუხიშვილი არ გავიხსენო და მადლიერება არ გამოვთქვა.

მაგრამ ცხოვრებას თავისი კანონები აქვს. მოხდა ისე, რომ ფრიდონ სულაბერიძე სუხიშვილების ანსამბლიდან წამოვიდა. თუმცა ფარ–ხმალი არასოდეს დაუყრია. მას დიდი ძალისხმევა დასჭირდა წინააღმდეგობათა გადასალახად. არაერთხელ ჰქონია შეთავაზება ანსამბლში დაბრუნებაზე, მაგრამ მხოლოდ თავისი შრომისმოყვარეობის იმედი ჰქონდა. შექმნა ჯგუფი, მუდმივად ვარჯიშობდნენ, მაგრამ არსად ცეკვავდნენ. ფილარმონიის დირექტორის გუგული ყიფიანის მცდელობა მისი ანსამბლის მთავარ ქორეოგრაფად დანიშვნის თაობაზე, უშუდეგოდ დასრულდა. ბუხუტი დარახველიძესთან მივიდა, მან 6 თვეში აღუთქვა სამსახური. არც ეს მოლოდინი გამართლდა. პარალელურად, თავის რამდენიმე მოცეკვავესთან ერთად, ფრიდონ სულაბერიძეს ვარჯიშისათვის თავი არ დაუნებებია. სწორედ ამ დროს, ოთარ თაქთაქიშვილს ანსამბლ „გორდელას" დაშლის შემდეგ, ანზორ ერქომაიშვილი რუსთავში გადაჰყავს და რუსთავის მოცეკვავეთა თვითმოქმედ ანსამბლს, რომელსაც რეზო ჭოხონელიძე ხელმძღვანელობდა, უერთებს მომღერალთა გუნდს. გარკვეული დროის მერე სწორედ მან შესთავაზა ანსამბლში ქორეოგრაფად მისვლა. ეს იყო გადამწყვეტი მომენტი ფრიდონ სულაბერიძის ცხოვრებაში. ჩაება მუშაობაში და სულ მალე (რეზო ჭოხონელიძის ანსამბლ „თბილისის" მთავარ ქორეოგრაფად გადასვლასთან დაკავშირებით) სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის" მთავარ ქორეოგრაფად ინიშნება. პასუხისმგებლობა, რომელიც ფრიდონ სულაბერიძის ცხოვრების წესია, აქ ერთიორად მეტად იგრძნო. ის დღემდე ერთგულად მოღვაწეობს ამ ანსამბლში.

– ვთვლი, რომ ქორეოგრაფად ანსამბლ „რუსთავში" დავიბადე, სულ ძიებაში ვარ, ვცდილობ, რომ ტრადიციულობის ურყევად შენარჩუნებით ვაზიარო ახალგაზრდები ცეკვის სიყვარულს.

ჩემდამი გამოვლენილი კეთილგანწყობის გამო მეც ყოველთვის ანსამბლ „რუსთავის", მისი სამხატვრო ხელმძღვანელის ანზორ ერქომაიშვილის ერთგული ვარ, ყოველთვის მის გვერდით ვიქნები.

დღეს ფრიდონ სულაბერიძის მოღვაწეობის სფერო ე.წ. პატარა „რუსთავია", რომლის აღსაზრდელები ხვალინდელი საქართველოს იმედია. ოდესმე ისინი ქართული კულტურის სადარაჯოზე დადგებიან სწორედ ისე, როგორც თავიანთი ხელმძღვანელი ფრიდონ სულაბერიძე, რომელიც ყოველი გამოსვლის წინ მათ ომახიანი შეძახილით – „ღმერთი ჩვენსკენ" ამხნევებს.

ნინო მდივანაძე

ჩანართში გამოყენებულია ჟურნალ "კამერტონის" პუბლიკაციები.

ასე ფიქრობენ ფრიდონ სულაბერიძეზე

ფრიდონ სულაბერიძე ჩემი სკოლაა.

ნინო რამიშვილი

ფრიდონმა ქართულ ხალხურ ცეკვას ძეგლი დაუდგა. ფრიდონ სულაბერიძე ყველა დროის ჩვენი საუკეთესო მოცეკვავეა.

ანზორ ერქომაიშვილი,
ლოტბარი

ვინ არ მოუყვანია აღტაცებაში, ვისთვის არ აუჩქროლებია გული ფრიდონ სულაბერიძის „ქართულს" — ვაჟის შემართებას, გულის სწორისკენ რაინდულ სწრაფვას — ფრიდონის უბადლო „გასმას". „ჩაიქროლოს წელმა ასმა, — ვერვინ შეძლოს შენებრ „გასმა".

ვილენ მარდალეიშვილი,
მწერალი და ჟურნალისტი

ფრიდონ სულაბერიძე ქართულ საცეკვაო ხელოვნებაში ფენომენალური მოვლენაა, შემსრულებელ მოცეკვავეთათვის ცეკვის ეტალონია.

იური ტორაძე,
ქორეოგრაფი

მოგონება

რა მცირე ყოფილა ჩვენი ცხოვრება. როგორ გაფრენილა და გალეულა წლები, როგორ მაკლიხარ და მენატრება ჩვენი ერთად ყოფნის დრო. წლები, როცა გავიცანით ერთმანეთი. ეს იყო იმ ადამიანთან, რომელსაც ავთანდილ თათარაძე ერქვა. ისიც შენნაირი შეუცდომელი ადამიანი იყო. თქვენ ჰგავდით ერთმანეთს, ის ყველას უყვარდა, როგორც შენ. ახლა, ალბათ, ერთად ხართ, ალბათ კი არა, უეჭველად ერთად იქნებით.

ფრიდონ სულაბერიძე და ჯემალ ნავროზაშვილი. 1960 წელი

როგორ ცარიელია ყოველი დღე უშენოდ, სევდა და მოგონებები არ მცილდება...

მე არ მახსოვდა ამბავი, რომელიც წლების შემდეგ მომიყევი და ვიხალისეთ. გამოცდას ვაბარებდით ქართულ ცეკვაში ბატონ ავთო თათარაძესთან. მოგწონებია ჩემი ფეხსაცმელი, მე კი არ გათხოვე... გამოცდაზე შენ მაინც კარგი ნიშანი მიიღე იმ რეზინისძირიანი ჩუსტებით, რომელიც გეცვა. ახლაც გული მტკივა, რომ არ გათხოვე. რა ვიცოდი, განუყრელი მეგობრები თუ გავხდებოდით. იმ ფეხსაცმლით დღესაც ვცეკვავ ხანდახან და იმ გასმას ვასრულებ, შენ რომ ძალიან მოგწონდა. ჰოდა, როცა შენთან წამოვალ, წამოგიღებ, ჩემო ნავროზ...

გული მწყდება ბევრ რამეზე, გიხსენებთ მეგობრები და გეფერებით. რამდენჯერაც ჯუმბერ ბერაძესთან ერთად ვარ სუფრაზე, სულ მახსენდება, როგორ გინდოდა ჩვენთან ერთად ღვინის დალევა. მე კი არ განებებდი. სიცოცხლის ბოლო წლებში ხომ ყოველდღე ერთად ვიყავით, ერთად ვსადილობდით. რა ვიცოდი, თუ ასე მალე გაქრებოდი ამ წუთისოფლიდან. შენ ხომ ყოველთვის მჯობნიდი სმაში, თუმცა ბოლო დროს მე გჯობნიდი. ჩვენი არბიტრი კი ომარ მხეიძე იყო. შენს საყვარელ სკოლა–სტუდიასთან ვიყავით ხოლმე ახლოს. შორს არ გიყვარდა წასვლა. სტუდიისა, რომლის პირველი პედაგოგი მე ვიყავი.შემდგომ კი შენ გახდი დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. ძალიან მიყვარდა იქ მოსვლა. მოვიდოდი კაბინეტის ფანჯრებთან და ნიშანს გაძლევდი. მიხაროდა, როცა შენი საოცარი, ლამაზი ღიმილით გამომხედავდი. შეხვედრაც როგორ იცოდი. ასე არავინ მხვდებოდა... ხშირად გითქვამს სამეგობროში, ყველა მიყვარხართ, მაგრამ ფრიდონი ყველაზე მეტად მიყვარსო. მართალია, ჩემთვის განსაკუთრებული ადამიანი და მეგობარი იყავი. ყველა ტკივილსა და სიხარულს ერთმანეთს ვუზიარებდით. შენი აზრი ჩემთვის ანგარიშგასაწევი იყო ყოველთვის. მე შენი მჯეროდა, სულ მომღიმარი, კეთილი, უბოროტო, გაწონასწორებული. ძნელად თუ გამოხვიდოდი მდგომარეობიდან. ისიც იშვიათად.

იყავი არაჩვეულებრივი თანამეინახე. კაცი ვერ შეგატყობდა ტკივილსა და პრობლემას.

ისევ მოგონებები მირევს გონებას...

ინგლისი, ალბერტჰოლში გამოვდიოდით. პასპორტი დაკარგე, თეთრად გავათენეთ ბიჭებმა ღამე. პასპორტის დაკარგვა ხომ სამშობლოს ღალატის ტოლფასი იყო მაშინ. ჩვენ ვერ მივხვდით, თურმე დამლაგებელს უპოვია და იმისთვის გადაუცია, ვინც ეს ამბავი გვამცნო. ეს იყო ბატონი ილიკო სუხიშვილი. ჩვენ კი ვერ მივხვდით, რა თქმა უნდა, ფაქტი აღვნიშნეთ.

გახსოვს ალბათ, ჩემო ჯემალ, პარიზში შენი სოფლელი, ერთაწმინდელი ემიგრანტი რომ გავიცანით. ღირსეული კაცი იყო საშა კარგარეთელი. თეატრ „ალამბარში“ გამოვდიოდით. ყოველი კონცერტის შემდეგ ერთად ვწრუპავდით ფრანგულ ღვინოს. გაოცებულები ვუსმენდით ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის წევრის ისტორიას და აღფრთოვანებას ვერ ვმალავდით. ბოლო შეხვედრა რესტორნით დამთავრდა. შენი სახე არ დამავიწყდება, როცა გკითხა ის, ქართულის მოცეკვავე ბიჭი, რატომ არ გამაცანიო.

თურმე ვერ მიცნო. ჩვენი შეხვედრები შემდგომშიც გრძელდებოდა პარიზში გასტროლების დროს. თბილისშიც გვეწვია. შენ გახარებული და ამაყი დაატარებდი ყველგან. ერთაწმინდაშიც წაიყვანე და უმასპინძლე.

გავიდა წლები და გაილია ცხოვრება. უფრო ხშირად ვფიქრობ ჩემთვის წმინდა სულებზე. ჩემს გარდაცვლილ მეგობრებზე. არ დამავიწყდება მამაშენის, ბატონი ლევანის ულამაზესი ცისფერი თვალები... ლექციებიდან გამოვიპარეთ. ბატონი ლევანი დეზერტირის ბაზართან არაყს ყიდდა. მახსოვს, რა სიყვარულით და იმედით გვიყურებდა თმააქოჩრილ ბიჭებს, რა იცოდა, რომ ქართული ცეკვით მსოფლიოს შემოვუვლიდით.

მეგრელი ქალბატონი იყო დედაჩემი და არაჩვეულებრივად აკეთებდა მეგრულ სადილებს. ბევრი ვიცინეთ, პირველად ღომი რომ გაგასინჯა და დაუწუნე – ფაფა გეგონა...

ჩემო ძმაო, ჯემალ! შენ კარგად იცი ჩემი ყველაზე დიდი ტკივილი, ჩემი შვილი, ავთოც შენსავით ლამაზი და დიდებული ვაჟკაცი მყავდა. ისიც ნაღდი კაცი იყო. მჯერა ჩემს მოსვლამდე საკუთარი შვილივით იზრუნებ მასზე. ნათელში იყოს თქვენი სული.

ერთად ხართ, ალბათ, ჩემი მეგობრები, რობერტ მაჭარაძე, რობერტ კავლელაშვილი და ჯემალ სამხარაული. გახსოვს, ალბათ, რობერტმა ნაძლევი დადო, ხანჯლებით ისე ვიცეკვებ, არც ერთი იატაკზე არ დავარდებაო. ცეკვისთვის უკვე ხანში იყო, მაგრამ ნაძლევის დადების შემდეგ ყოველდღე რეპეტიციას გადიოდა ხანჯლებით. მოსწავლეები შეშინებულები უყურებდნენ, ეგონათ, მასწავლებელი შეიშალაო.

10 ცალი ხანჯალი უნდა ჩაერჭო, მან კი 9 ჩაარჭო. მე შარი მოვდე, ათი არ არის–თქო. მან კი მითხრა, მეათე ხანჯალი ვერ ვიშოვეო. რა თქმა უნდა, მოგებად ჩავუთვალეთ და განსაკუთრებულად აღვნიშნეთ კიდეც.

ბოლოს საავადმყოფოში გინახულე, მკითხულობდი. ცუდად იყავი. გამომემშვიდობე. ვეღარ მოვბრუნდებიო. ეს იყო ჩვენი ბოლო შეხვედრა. მეორე დღეს ცოცხალი აღარ იყავი. ცხოვრებისეულ ტრავმებს ვეღარ გაუძლო გულმა.

ადამიანები იბადებიან და არ იციან, როდის წავლენ ამ ქვეყნიდან. უფლის ნებაა ყველაფერი. მასაც კარგი კაცი უნდა გვერდით, სწორედ ისეთი, შენ რომ იყავი, ჯემალ...

ძმური სიყვარულით,
ფრიდონ სულაბერიძე

ქალაქური ფოლკლორის მარგალიტები – კინტოსა და ყარაჩოხელის ცეკვა

ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ქალაქური ფოლკლორის წიაღში აღმოცენებულ და შემდეგ ფართოდ გავრცელებულ საცეკვაო ნიმუშებს. ამ მხრივ ქართული სინამდვილე, მართლაც, გამორჩეულია, რადგან თვით უმდიდრესი ფოლკლორული ტრადიციების მქონე ხალხებსაც კი, უმეტესწილად, აქვთ ქალაქური სიმღერები, მაგრამ არ გააჩნიათ ქალაქური ცეკვები. თბილისურმა ყოფამ შექმნა საცეკვაო ნიმუშები, რომელსაც დღეისათვის „კინტოურად“, „ყარაჩოხელთა ცეკვად“, ზოგჯერ კი „ბაღდადურად“ მოიხსენიებენ.

კინტო და ყარაჩოხელი ძველი თბილისის ვაჭრულ–ხელოსნური ყოფის წიაღიდან ამოზრდილი კოლორიტული ფიგურებია. კინტო ხელზე მოვაჭრეა, გამოირჩევა მოსწრებული სიტყვა–პასუხით და თავისებური ჩაცმა-დახურვით (მაღალსაყელოიანი, საკინძემოხსნილი, დაწინწკლული ჩითის პერანგი, მოკლე შავნაოჭიანი ახალუხი, უბეგანიერი ნაოჭიანი შარვალი, მესტები ან ყელდაკეცილი „დაწყობილი“ ჩექმები, ვერცხლისაბზინდიანი სარტყელი და აბრეშუმის ან ჩითის ხელსახოცი).

კინტო ხონჩაზე გაწყობილ ნაირ–ნაირ ხილ–ბოსტნეულს გასაყიდად ქუჩებში თავზე შემოდგმული დაატარებდა. თბილისის კოლორიტს იგი XX ს-ის 30-იან წლებამდე შემორჩა. ხალხური ტრადიციით, კინტო ცუღლუტის, ლაზღანდარას, მასხარას, სიტყვამოსწრებული ქალაქელის სინონიმად ითვლებოდა.

სრულიად სხვა შეხედულება ჩამოყალიბდა ყარაჩოხელის მიმართ.

სიტყვა ყარაჩოხელი თურქულია და „შავჩოხიანს“ნიშნავს. ძველ თბილისში ყარაჩოხელს უწოდებდნენ ხელოსანს, ზოგჯერ მოვაჭრეს. იგი გამოირჩეოდა რაინდული ბუნებით, სიდარბაისლით, დარდიმანდული ხასიათით და გამორჩეული ჩაცმა-დახურვით. ეს იყო გულამოღებული აბრეშუმის პერანგი, შავი ატლასის ან სატინის წვრილნაოჭებიანი ახალუხი, შალის შავი უბეგანიერი შარვალი, ქოშები ან წუღები, გრძელკალთებიანი, მოკლენაოჭებიანი ორჩაქიანი შავი შალის ჩოხა, შემკული ვერცხლის გობაკიანი ქამრით, ბაღდადი და ბუხრის ქუდი. ყარაჩოხელები ხელოსნურ ამქარს ქმნიდნენ. მათი გაერთიანებები და ცალკეული წარმომადგენლები თბილისში XX ს–ის 20–იან წლებამდე არსებობდნენ., თავისი ქცევითა და ტრადიციებით ყარაჩოხელები დარდიმანდულ განწყობილებებს, ქეიფის თავისებურ სტილსა და ხელგაშლილობის კულტს ამკვიდრებდნენ.

თბილისის ქალაქური ცხოვრების წესის მცოდნეთ კინტო და ყარაჩოხელი ერთმანეთში არასოდეს ერეოდათ. ამის საუკეთესო მაგალითია „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემის“ ავტორის ი. გრიშაშვილის მიერ დატოვებული აღწერა, სადაც იგი გულდაგულ მიჯნავს ერთმანეთისაგან ადამიანთა ამ ორ ტიპს. კინტო, ი. გრიშაშვილის აზრით, „ყარაჩოღელების გადაგვარებული მოდგმაა“.

„ყარაჩოღელი დარბაისელი, ჩასპანდი, გულმართალი, პატიოსანი რაინდია.

კინტო თვალმანკიერია და გულხენეში. იგი ჩიკორა კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელშიც ვაჟკაცური ელემენტები ნაკლებად ჩანს.

ყარაჩოღელის მუსიკა დუდუკია, კინტოსი კი – არღანი. ყარაჩოღელი ძველი თბილისის ძველი თაობაა... კინტო კი იმ დროიდან ჩნდება, როდესაც ვაჭრობამ ხელოსნობას გაუსწრო.

კინტოსა და ყარაჩოღელს ერთმანეთისაგან ქცევა-მოქმედებები, მოძრაობები, მეტყველება და, რაღა თქმა უნდა, ცეკვა-მოლხენაც გამოარჩევდა. თუმცა მთელი მათი ქცევის კოდექსი და მუსიკალურ-ქორეოგრაფიული გამოცდილება ერთი და იგივე წყაროდან – ქალაქური ცხოვრების რიტმიდანაა აღმოცენებული და სწორედ მისით საზრდოობს“.

ქართული ცეკვის ტრადიციებით დაინტერესებულმა მკვლევარებმა იმთავითვე შენიშნეს, რომ „კინტოური“ ცეკვის თემატური ქარგა გარკვეულწილად მისდევს და ამით იმეორებს „იალის თამაშის“ ვერსიებს. გარკვეულ ახლობლობას ამჟღავნებს, აგრეთვე, სომხურ „იალთან“, აზერბაიჯანულ „გვირათთან“, რომელიც ხშირად ისევ „იალის“ სახელითაც გვხვდება. თავის მხრივ, ეს ვერსიები გამოხატავს ნაყოფიერების კულტისათვის დამახასიათებელ გარკვეულ რიტუალურ მომენტებს და ამით უახლოვდება სვანურ საკულტო ცეკვას „მელია-თელეპიას“. ასეთი მსგავსება-პარალელები ფოლკლორში ჩვეულებრივი მოვლენაა, რაც, თავის მხრივ, მისი სინკრეტული ბუნებიდან, ასევე ხალხის სოციალურ-ეკონომიკური თუ ყოფითი პირობების ურთიერთმიმსგავსებულობით შეიძლება აიხსნას. „იალის თამაშები“ ძველი თბილისის მრავალეროვანი მოსახლეობის ვაჭარ-ხელოსანთა ფენების გასართობი ცეკვა იყო. ხშირად იგი ქალაქური დღესასწაულის „ყეენობის“ შემადგენელ ნაწილადაც გამოდიოდა. სწორედ აქედან უნდა მოდიოდეს „კინტოურის“ მსუბუქი იუმორით გაჟღენთილი საცეკვაო ტექსტი და ლექსიკა, ფორმა და შინაარსი.

ტრადიციულად, „კინტოურს“ ორი მოცეკვავე ასრულებდა. ისინი სხვადასხვა ნივთებით (თავზე თაბახი, ტიკი, ბაღდადი) ხელდამშვენებული წრეში შეიჭრებოდნენ და თავიანთ ოსტატობა-მოხერხებულობა-ეშმაკობებს საცეკვაო რიტმში აქცევდნენ. „კინტოურის“ აუცილებელი ელემენტებია მხრებისა და ფეხების სწრაფი მოძრაობა, თვალის ჩაკვრა, გარშემომყოფ გოგონებისათვის კოცნის ჰაეროვანი გაგზავნა, მისთვის დამახასიათებელი ეშმაკური ღიმილი, ბაღდადის ოსტატური მოქნევა, მისი ძირს დაგდება, შემდეგ კი კბილებით აღება (ხშირად ბაღდადს ცვლის ღვინით სავსე ჭიქა) ხელების დაუხმარებლად, ფეხების განზე თანდათანობით გაწევა, მერე ისევ ახლოს მოტანა, ზედმეტად ჩქარი გასმების გაკეთება და ა.შ.

ფოლკლორულ ვარიანტში „კინტოური“, ცხადია, ბევრად ხანგრძლივი იყო, მის სიუჟეტურ ხაზში შედიოდა სადღეგრძელოს წარმოთქმა, ყოჩების ჭიდაობა, ქალაქური ყოფისთვის დამახასიათებელი სახასიათო სიუჟეტების გათამაშება და სხვა ამგვარი.

კინტოს ცეკვისგან გარკვეულად განსხვავდებოდა ყარაჩოხელის ცეკვა. ამ განსხვავებას განაპირობებდა ის არსებითი ნიუანსები, რომელიც თვითონ ყარაჩოხელს გამოარჩევდა კინტოსაგან. ყარაჩოხელი ხომ დინჯი, დაფიქ-

დასასრული მე-8 გვ.

ქალაქური ფოლკლორის მარგალიტები – კინტოსა და ყარაჩოხელის ცეკვა

დასაწყისი მე-7 გვ.

რებულია და ზედმეტად დეტალიზებული მოძრაობების გაკეთებას არ იკადრებს. ამიტომ მის ცეკვაში ძირითადი დატვირთვა გასმებზე მოდის. აქ არ იკითხება ხტომები, ბუქნები და თეატრალიზებული მიმიკით ზედმეტად დატვირთული სვლები.

საგულისხმოა, აღინიშნოს, რომ კინტოურ–ყარაჩოხლური ცეკვები XIX ს–ში ხშირად „ბაღდადურისა“ და „შალახოს“ სახელითაც გვხვდებოდა, იგივე მეორდება დღესაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს საცეკვაო პანტომიმა მამაკაცების ცეკვას წარმოადგენს, თუმცა ზოგიერთმა ქორეოგრაფმა მისი ქალთა ვარიანტიც შექმნა.

უნდა ითქვას, რომ თუ აღნიშნული ცეკვები, თავის დროზე, წყვილთა დიალოგის სახით სრულდებოდა, მოგვიანებით, როდესაც იგი სცენაზე გადავიდა, ჯერ ერთი, გაერთიანდა კინტოურისა და ყარაჩოხლურის საცეკვაო ელემენტები და მეორეც, იგი მოცეკვავეთა ნებისმიერ რაოდენობაზე გათვლილ კოლექტიურ ცეკვად იქცა.

XX ს-ის 50-იანი წლებიდან ეს ცეკვა დამკვიდრდა ქორეოგრაფიული კოლექტივების რეპერტუარში და მას ხან „კინტოური“, „ბაღდადური“ ან კიდევ „ძველი თბილისის სურათები“ ეწოდება.

ეს ცეკვა სადღეისოდ, უფრო ხშირად, ასეთი ფორმითაა წარმოდგენილი: ჩაბნელებულ სცენაზე მოცეკვავეთა ჯგუფი – კინტოები და ყარაჩოხელები წინასწარ იკავებენ ადგილს. სცენა ნელ-ნელა ნათდება და მოცეკვავეთა ჯგუფს წარმოაჩენს. სცენის ცენტრში ორი გარინდულ–დაღონებული ყარაჩოხელი დგას. როგორც წესი, მათ ჩოხის მარჯვენა კალთა მარცხენა ბეჭზე აქვთ გადაგდებული და ხაზგასმული თეატრალობით მოქნეული მარჯვენაც კვლავ მარცხენა ბეჭზე უდევთ. ყარაჩოხელთა დახრილი თავი აშკარად მიუთითებს, რომ კინტოები, რომლებიც გვერდში უდგანან, მათი მკაცრი მხედველობის არეშია მოქცეული. დანარჩენ კინტოთაგან ვინ მუშტრის მომლოდინე პოზაშია, ვინ თავის საქონელს აქებს, ვინ კიდევ სასწორით ხელში აწონვის პროცესის იმიტაციას ახდენს. იქვეა მეარღნე და საცეკვაოდ გამზადებული კინტოები... ისმის დოლზე შემოკვრის ხმა (რამდენჯერმე, მიყოლებით) და მოცეკვავეთა ეს ერთიანი წყობა შეირხევა, იგი ცოცხლდება.

საცეკვაოდ გამზადებული კინტოებიდან ერთ-ერთი წრეზე დავლას იწყებს, მას მეორეც უერთდება და იწყება ტრადიციული წყვილთა „კინტოური“, რომელიც გარკვეულ დრომდე ჯგუფური ტაშის ფონზე სრულდება. ბოლოს კი იწყება საყოველთაო ცეკვა–მოლხენა, სადაც სოლოებში ე.წ. კინტოურ სვლებს, ყარაჩოხლური მოძრაობები ცვლის და, პირიქით. მერე ისევ ყველა ცეკვავს და, ფინალის მოახლოებასთანვე მთლიანი ჯგუფი თავის საწყის პოზიციებს უბრუნდება და ყველა სტატიურ მდგომარეობას იჭერს. ცეკვის ზოგიერთ ვარიანტში დუდუკის ხმაზე სინათლე ნელ-ნელა ქრება და ჯგუფი ისევ უჩინარდება, როგორც ეს დასაწყისში იყო – ჩაბნელებული სცენა მოცეკვავეებს თან გაიყოლებს.

გვაქვს სხვა ვარიანტებიც, სადაც ცეკვას ჩვეულებრივ საფინალო, კულმინაციური რეგისტრისათვის დამახასიათებელი მასობრივი და აჩქარებული მოძრაობებით დაესმის საფინალო წერტილი.

აღსანიშნავია, რომ სცენაზე გადატანილმა კინტოურ-ყარაჩოხლურმა ცეკვებმა დაკარგა, და სავსებით სწორადაც, ის უხამსი, ზედმეტად უტრირებული ელემენტები, რაც მას XIX ს-ში, ქალაქური ფოლკლორული ყოფის წიაღში ახასიათებდა. დღეისათვის ეს ცეკვები ქართული საცეკვაო ფოლკლორის ერთ-ერთ მშვენიერ ნიმუშად იქცა და იგი ქართულმა სცენამ არ უნდა დაივიწყოს.

რეზო ჭანიშვილი,
პროფესორი

ქორეოგრაფიული ანსამბლი „მინდია“

1976 წლიდან თბილისის 39-ე საჯარო სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიული სტუდიის ბაზაზე ფუნქციონირებს ანსამბლი „მინდია“, რომელსაც ხელმძღვანელობს სუხიშვილების ანსამბლის ყოფილი მოცეკვავე, რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალების მრავალგზის ლაურეატი, საქართველოს განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნის მფლობელი ალექსანდრე ქართველიშვილი. დაუღალავი შეოქმედებითი შრომის შედეგად ანსამბლი „მინდია“ ჩამოყალიბებიდან სულ მოკლე პერიოდში ჩადგა საქართველოს წამყვან საბავშვო ქორეოგრაფიულ ანსამბლებს შორის. იგი არის ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედი ანსამბლების რესპუბლიკური დათვალიერებების ხუთგზის ოქროს მედლის მფლობელი და ლაურეატი. 1983 და 1998 წლებში თბილისის განათლების სამმართველოს მიერ მინიჭებული აქვს წლის საუკეთესო ქორეოგრაფიული ანსამბლის წოდება.

ანსამბლ „მინდიას“ მდიდარი შემოქმედებითი ბიოგრაფია გააჩნია. არსებობის მანძილზე მან არაერთგზის იმოგზაურა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და მისი ყოველი მოგზაურობა წარმატებით გვირგვინდებოდა. ამ ანსამბლის შესახებ არაერთხელ დაიწერა პრესის ფურცლებზე და გადაიცა ტელევიზიით როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. იგი არის მსოფლიოს ფოლკლორული ფესტივალების მრავალგზის ლაურიატი. ანსამბლ „მინდიას“ არქივში ინახება სხვადასხვა ფესტივალ-კონკურსებში მიღებული უამრავი სიგელი, ჯილდო, რიგ ქვეყნებში დამსახურებულად მოპოვებული უამრავი გრან-პრი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 1985 წელს – რუმინეთში, 1986 წელს – ბულგარეთში, 1988 წელს – იუგოსლავიაში, 1989 წელს – ფინეთში, 1991 წელს – კვლავ რუმინეთში, 1994 წელს ჯერ გერმანიაში, ხოლო შემდეგ ერაყში (ბაბილონი), 1996 წელს – კვიპროსში, 1997 წელს – საბერძნეთში, 2003 წელს – ესპანეთში, 2009 წელს – საფრანგეთსა და 2010 წელს კატალონიაში გამართულ ფესტივალ-კონკურსებში მოპოვებული გამარჯვებები.

ანსამბლის რეპერტუარი დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ფოლკლორზე. მის წარმატებებს დიდად განაპირობებს ეროვნულ ესკიზებზე შექმნილი კოსტიუმები, რომლებიც განსაკუთრებულ ელფერს სძენს თითოეულ ცეკვას და მთლიანად საკონცერტო პროგრამას, რასაც უდიდესი სიამოვნებით აღიქვამს მაყურებელი. გარდა ფესტივალ-კონკურსებში მონაწილეობისა, ანსამბლი „მინდია“ არაერთხელ წარსდგა ფართო მაყურებლის წინაშე სრული პროგრამით (1,5 სთ) და ყოველთვის იმსახურებს მაყურებლის სიმპათიას და პატივისცემას. „მინდიას“ მიერ ჩატარებული სოლო კონცერტებიდან აღსანიშნავია გამოსვლები შემდეგ ქვეყნებში: სირია, იორდანია, ინდოეთი, შრი-ლანკა, პორტუგალია, საბერძნეთი, თურქეთი, იტალია, მაროკო, კორსიკა... განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 1996 წელს საფრანგეთის ქვიშის ოპერის თეატრში ჩატარებული კონცერტი „თბილისური საღამოები“, სადაც ანსამბლი „მინდია“ ყველასათვის საყვარელ ანსამბლ „ქართულ ხმებთან“ და ჯანსუღ კახიძის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად წარსდგა ფრანგი და არა მარტო ფრანგი მაყურებლის წინაშე.

ეს არასრული ჩამონათვალია იმ ქვეყნებისა, სადაც ანსამბლმა „მინდიამ“ თავისი შემოქმედებით მოხიბლა და შეძლო მაყურებლამდე მიეტანა ჩვენი ქვეყნის ულამაზესი ხელოვნების, კერძოდ, ქართული ცეკვის ხიბლი და მადლი, სიწმინდე და სულიერება. კონცერტების შემდეგ ხშირად შეიმჩნევა მაყურებლის როგორც გაოცებისაგან გაბრწყინებული, ასევე სიხარულით აღსავსე ცრემლიანი თვალები.

ქორეოგრაფიული ანსამბლი „მინდია“ და მისი თითოეული წევრი, დიდი თუ პატარა, დღესაც დაუღალავად შრომობს და იღწვის წინსვლისა და სიახლეების დანერგვისათვის, რათა კიდევ და კიდევ მაღლა ასწიონ ქართული ხელოვნების დროშა, როგორც პროფესიონალთა ლეგენდარული, ასევე გამორჩეული საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლების გვერდში დგომით და კიდევ ერთხელ და მრავალგზის დაანახოს მთელ მსოფლიოს, თუ როგორი დაუცხრომელი და სიცოცხლით სავსეა ჩვენი ქართული ჯიში და გენი.

ანსამბლ „მინდიას“ ხელძღვანელის, ალექსანდრე ქართველიშვილის სახელს უკავშირდება ეს წარმატებები. შემოქმედებითი წლის მიწურულს ანსამბლი კიდევ უფრო ხვეწს და ამრავალფეროვნებს რეპერტუარს. მინდიელები მომავალი წლის წარმატებებს ახლა, აქედანვე უყრიან საფუძველს.

ცეკვის სიყვარულით შთაგონებული

გაზეთი „საქართველოს ქორეოგრაფია“ წარმოგიდგენთ ქორეოგრაფიულ ანსამბლს "ფერხული"

ყოფილი მოცეკვავეები ნინო ტურიაშვილი და რომეო ტატიშვილი, რომლებმაც 20 წელი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში მსახიობ-მოცეკვავეებად იმუშავეს, ამჟამად მთელ თავიანთ შემოქმედებით ენერგიას მომავალი თაობის აღზრდას ახმარენ, პატარებს ეროვნულ ტრადიციებსა და ქართული ცეკვის სიყვარულს უნერგავენ.

როგორც ქალბატონი ნინო ამბობს, — „ქვეყნის მომავალი ბავშვებს ეკუთვნით, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა ფასეულობებს ჩავუნერგავთ მათ ადრეულ ასაკში. მშობლიური ქვეყნის ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების სიყვარულს ხომ სწორედ ამ დროს ეყრება საფუძველი. რაც უფრო მეტი შრომა დაიხარჯება, მით უფრო მყარი იქნება საძირკველიც.“

განსაკუთრებით დასაფასებელია იმ ადამიანების საქმიანობა, რომლებიც ზედმეტი ხმაურის გარეშე აკეთებენ თავიანთ საქმეს, უზრდიან ქვეყანას მომავალ თაობას.

უკვე 25 წელია ნინო ტურიაშვილი და რომეო ტატიშვილი სათავეში უდგანან ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ფერხულს“ და პატარებს ქართული ცეკვის სილამაზეს აზიარებენ. ნინო ტურიაშვილმა ქორეოგრაფიული სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ქალაქ სამარის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი დაამთავრა, დაეუფლა ხელოვნებათმცოდნის პროფესიასაც. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში გაიცნო მომავალი მეუღლე რომეო ტატიშვილი. ცეკვის სიყვარულმა შესანიშნავი შემოქმედებითი ტანდემის შექმნას შეუწყო ხელი.

ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ფერხულის“ ისტორია 1987 წელს თბილისის მეოთხე საშუალო სკოლაში იღებს სათავეს. მოგვიანებით რომეო ტატიშვილი თბილისის 163-ე საშუალო სკოლაში აყალიბებს ქორეოგრაფიულ სტუდიას. ამ ორი სკოლის ბაზაზე შექმნილი სტუდიების აღსაზრდელები ერთ ოჯახად ერთიანდებიან ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ფერხულში“.

რომეო ტატიშვილი სახელოვანი ქორეოგრაფის თამაზ გოგოტიშვილის აღზრდილთა პირველი თაობის წარმომადგენელია. იგი ცეკვავდა ანსამბლ „გორდაში“, მერე სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში. მოგვიანებით რომეო ტატიშვილი გადავიდა სახელმწიფო ფილარმონიაში საესტრადო განყოფილების მსახიობ-მოცეკვავედ, ასევე ცეკვავდა ანსამბლ „მეტეხში“.

მას შემოქმედებითი საქმიანობა აკავშირებდა ისეთ ქორეოგრაფებთან, როგორებიც იყვნენ ჯანო ბაგრატიონი, გივი კოჯორაშვილი, ბესიკ სვანიძე...

ქალბატონი ნინო გვიამბობს:



— „სრულიად პატარა გოგონა ვიყავი, როდესაც სკოლაში ქორეოგრაფიულ სტუდიაში სამუშაოდ მივედი. მოსწავლეების მშობლები ჩემზე უფროსები იყვნენ, მაგრამ დრო სწრაფად გავიდა. ბავშვებთან ერთად მეც გავიზარდე. ახლა ჩემს აღზრდილებს უკვე თავიანთი შვილები მოჰყავთ ჩემთან ანსამბლში, ამიტომაც მათ პატარებს სიყვარულით შვილიშვილებს ვეძახი.

თბილისის მე-4 და 163-ე საჯარო სკოლების მოსწავლეთაგან შემდგარმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ფერხულმა“ შემდგომში ბინა თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში დაიდო.

ანსამბლში მოხვედრამდე ბავშვები ხუთწლიან სტუდიას ამთავრებენ, სადაც მოსწავლეები ქართული ხალხური ცეკვების გარდა, მესამე კურსიდან გადიან ქართული ცეკვის ისტორიას, ისინი ეცნობიან საქართველოს ყველა კუთხის საცეკვაო ფოლკლორს. ამასთანავე, შეისწავლიან მსოფლიო ხალხთა ცეკვებს, კლასიკას, რომლის სწავლების კურსს სათავეში უდგას ვ. ჭაბუკიანის სახელობის სასწავლებლისა და შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის წამყვანი პედაგოგი ტატიანა ბახტაძე.

საბედნიეროდ, ინტერესი ქართული ცეკვის მიმართ იზრდება. დღეს სულ უფრო მეტი ბავშვი გამოთქვამს მისი შესწავლის სურვილს. რაც უფრო მეტ პატარას ჩავუნერგავთ ქართული ფოლკლორის სიყვარულს, მით უკეთესია. ეს თითოეული ჩვენგანისთვის დიდი მიღწევა იქნება. ანსამბლის წევრები ერთ დიდ ოჯახად ცხოვრობენ და იმდენად დიდია მათი სიყვარული ქართული ცეკვისადმი, რომ სკოლის დამთავრების შემდეგაც განაგრძობენ ანსამბლში ცეკვას.

ჩემი თაობა ნინო რამიშვილისა და ილიკო

სუხიშვილის ანსამბლის ცეკვაზე გაიზარდა. თავადაც დავამთავრე მათი სტუდია. კარგად მახსოვს, რამდენ ხანს მიმყვებოდა მათ კონცერტებზე მიღებული შთაბეჭდილებები. ცეკვის სიყვარულიც სწორედ აქედან წამოვიდა.

სახელმწიფო ანსამბლები ყოველთვის მისაბაძია ბავშვთა ანსამბლებისათვის. „სუხიშვილები“, „ერისიონი“, „რუსთავი“, ისინი არ ჰგვანან ერთმანეთს, თითოეულს საკუთარი ხელწერა აქვს. მათ მიუძღვით უდიდესი წვლილი იმაში, რომ ქართული სიმღერა და ცეკვა დღეს ასეთი პოპულარულია.

პირველ რიგში, საკუთარი ხელოვნება და კულტურა უნდა ვიცოდეთ და გვიყვარდეს. საერთო გლობალიზაციის პირობებში თვითმყოფადობის შენარჩუნება საკმაოდ რთულია, მაგრამ საამაყო და აუცილებელი.

„ფერხული“ მრავალი საერთაშორისო ფესტივალისა და კონკურსის ლაურეატია. გამართული აქვს ბევრი შემოქმედებითი საღამო, სოლო კონცერტი სახელმწიფო ფილარმონიისა და ოპერის და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენებზე. შარშან უდიდესი წარმატებით აღინიშნა ანსამბლის 25 წლის იუბილე. საყოველთაო არეულობის დროს ინტენსიურად ვმუშაობდით, ფეხით მოვდიოდით რეპეტიციებზე, საჩუქრებს ვამზადებდით და საქველმოქმედო კონცერტებს ვატარებდით ობოლი და მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის, მაშინ თითქოს უფრო მობილიზებული ვიყავით.

„ფერხულმა“ 25 წლის განმავლობაში საგასტროლო მოგზაურობით მოიარა მსოფლიოს უამრავი ქვეყანა: თურქეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, გერმანია, დანია, ჰოლანდია, იტალია, პოლონეთი, საბერძნეთი და ა.შ.

ანსამბლ „ფერხულის“ რეპერტუარი მრავალფეროვანია და მასში შედის საქართველოს ყველა კუთხის ცეკვები: „აჭარული“, „ფერხული ფარცით“, „ფარიკაობა“, „ქართული“, „ყაზბეგური“, „მთიულური“, „აბრაგული“, „ხორუმი“, „სატრფიალო“, „მუხამბაზი“, „ჯეირანი“, „სვანური“, კომპოზიცია „ჯუთა“, „ხონგა“, „ესპანური“, „ბოშური“.

ჩემი აზრით, ცეკვის განვითარების გზების ძიება მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს. საფუძველი უცვლელი, ხელშეუხებელი უნდა დარჩეს, არ შეერიოს სხვა ხალხთა ცეკვების ელემენტები, თორემ ძიება აუცილებელია. როგორც 20-30 წლის წინ ვცეკვავდით ამა თუ იმ ცეკვას, ახლაც ისე ხომ არ ვცეკვავთ?! ის, რაც დროს გაუძლებს, მისაღები იქნება მაყურებლისთვის, ხოლო რაც დროს ვერ გაუძლებს, თავისთავად დაიკარგება, ამაში საკამათოც არაფერია. დრო თავად განსჯის. ფოლკლორი ხელშეუხებელია, მაგრამ სიახლის ელემენტების დამატება ბუნებრივი პროცესია.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებსაც უდიდესი წვლილი მიუძღვით ანსამბლის წარმატებაში. განსაკუთრებული მადლიერებით მინდა მოვიხსენიო თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორი, ბატონი გია შალამბერიძე, რომლის დიდი მხარდაჭერის შედეგია ანსამბლისა და სტუდიის წარმატებები.

ანსამბლ „ფერხულის“ წარმატებაში დიდი წვლილი აქვთ თბილისის მე-4 და 163-ე სკოლების დირექტორებს ხათუნა ქოთოლაშვილსა და ლელა ქინქლაძეს. ისინი ანსამბლ „ფერხულსადმი“ უდიდეს თანადგომას გამოხატავენ.

ასევე, ანსამბლის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის დამხმარე პედაგოგს ზურაბ ჭრიკიშვილს, მუსიკოსებს ზაზა ბანეთიშვილსა და ზურა გიჯაშვილს. ჩვენ ერთი ოჯახი ვართ, შეძლებისდაგვარად ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ბავშვები ქართული ცეკვის სილამაზეს ვაზიაროთ და თუ პროფესიონალი მოცეკვავეები არა, ქართული ხელოვნების ჭეშმარიტი შემფასებლები მაინც გავზარდოთ“.

ნინო ტურიაშვილი და რომეო ტატიშვილი ოცდაათწლიანი მუშაობის შედეგად დამსახურებული პედაგოგების ტიტულს ატარებენ. ქალბატონი ნინო ათი წლის განმავლობაში მუშაობდა ქალაქ თბილისის განათლების სამმართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის ქორეოგრაფიული წრეებისა და სტუდიების დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის კოორდინატორად. იგი 2011 წელს მეორე ვადით აირჩიეს თბილისის ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარედ. ამასთან, წელს ქალბატონი ნინო თბილისის მერიამ ქართული კულტურის ამაგდარის მედლითა და საპატიო დიპლომით დააჯილდოვა.

ვუსურვოთ ანსამბლ „ფერხულს“ წინსვლა და წარმატებები.

საიუბილეო ფოტოგამოფენა იუბილარს

2011 წლის 20 ოქტომბერს ეროვნული ფოლკლორის ცენტრის საგამოფენო დარბაზში (დავით აღმაშენებლის გამზირი, №68) გაიხსნა ცნობილი ქართველი ჟურნალისტისა და ქორეოგრაფის, საქართველოს დამსახურებული არტისტის თენგიზ უთმელიძის ფოტოგამოფენა. აქ წარმოდგენილ ფოტოებზე ასახულია ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის გამოსვლები როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ყოველთვის სიხარულსა და დიდ გაოცებას იწვევდა ამ დიდებული ანსამბლის გამოსვლა, გხიბლავდა მისი თითოეული წევრის ინდივიდუალიზმი, ცეკვის შესრულების მანერა, პროფესიონალიზმი. საგამოფენო დარბაზშიც ასე იყო. აქაც იგივე ემოციები გეუფლება, როცა წარმოდგენილ კადრებს ათვალიერებ. ბატონი თენგიზ უთმელიძე აქაც პროფესიონალის როლში გვევლინება. გხიბლავს მის მიერ გადაღებული ყოველი ფოტო, მყისიერად დაჭერილი და სამუდამოდ გაჩერებული წამი, დრო-ჟამი. ბატონი თენგიზი ჟურნალისტია და ამ გამოფენაში კარგად ჩანს მისი ჟურნალისტური ალღო, გრძნობა იმისა, თუ რა დროს „გააჩხაკუნოს“ ფოტოაპარატი. 10000-ზე მეტი სურათი ინახება მის არქივში და ყოველი მათგანი ანსამბლის, მისი ულამაზესი და კეთილშობილი ადამიანების ისტორიაა. სამწუხაროა, რომ საზოგადოების სამსჯავროზე ვერ ხვდება ყველა ეს ფოტო. გამოფენის გახსნისას სიტყვით გამომსვლელებმაც აღნიშნეს და ბატონ თენგიზთან საუბარში ჩვენც გამოვთქვით სურვილი მუდმივმოქმედი გამოფენის შექმნის შესახებ, მაგრამ ეს ჯერ-ჯერობით მხოლოდ სურვილია და მეტი არაფერი. არადა, სუხიშვილების ანსამბლი და ქართული ქორეოგრაფია ნამდვილად იმსახურებს ასეთი გამოფენის და არამარტო გამოფენის არსებობას. იქნებ ცალკე მუზეუმის შექმნაზეც გვეფიქრა, ქორეოგრაფია ხომ საქართველოს ერთგვარი სავიზიტო ბარათია. გავაცნოთ ხალხს „ერისიონი“, „რუსთავი“, „მართვე“, „მინდია“, „უნივერსიტეტი“, „იბერიელი“, „სიონი“, „ლაშარი“, „ფერხული“ და სხვა მრავალი, ყველას ვერ ჩამოთვლი.

ეს სამომავლოდ. ახლა კი დავუბრუნდეთ გამოფენას, რომელიც უკვე ოცდამეხუთედ ეწყობა (პირველი გამოფენა შედგა 2000 წელს და მიეძღვნა ნინო რამიშვილის 90 წლის იუბილეს) და ამჯერად 70 წლის გამოჩენილ ქორეოგრაფს და დიდებულ ადამიანს, ბატონ ფრიდონ სულაბერიძეს ეძღვნება. იმ დღეს ეროვნული ფოლკლორის ცენტრის საგამოფენო დარბაზში ორი იუბილე აღინიშნებოდა. თუმცა იუბილარმა ფრიდონ სულაბერიძემ სამადლობელ სიტყვაში იხუმრა, მე 24 ოქტომბერს ვიქნები იუბილარიო. გამოფენა გახსნა და იუბილარსა და სტუმრებს მიესალმა ეროვნული ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი უშიკიშვილი, გამოფენის ისტორია მოკლედ მიმოიხილა ავტორმა თენგიზ უთმელიძემ, სიტყვით გამოვიდნენ კინომცოდნე გოგი დოლიძე, მხატვარი გივი თოიძე, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე რეზო ჭანიშვილი, მომღერალი ალეკო ხომერიკი, ფოტოგამოფენის გმირები, სუხიშვილების ანსამბლის ცნობილი წევრები ომარ მხეიძე და ნინო კირვალიძე, ჟურნალისტი და მწერალი ნანა წითელაშვილი. სტუმრებს სამადლობელი სიტყვით მიმართა იუბილარმა ფრიდონ სულაბერიძემ.

გამოფენა კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდება.

რედაქციისაგან

მივმართავთ ქორეოგრაფებს, ჟურნალისტებს, პედაგოგებს, უბრალოდ ქორეოგრაფიის პრობლემებით დაინტერესებულ პირებს – აქტიურად ითანამშრომლეთ გაზეთის რედაქციასთან, მოგვაწოდეთ საინტერესო მასალები. არცერთი თქვენი პუბლიკაცია უყურადრებოდ არ დარჩება.

მილოცვა

თბილისს ბოგოტიშვილი თბილისის საპატიო მოქალაქე

2011 წლის 9 ოქტომბერს, თბილისობის ტრადიციული დღესასწაულის დასკვნით დღეს, თბილისის მერიამ თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა ღვაწლმოსილ და დამსახურებულ ადამიანებს. მათ შორისაა ჩვენი კოლეგა, შესანიშნავი მოცეკვავე და ქორეოგრაფი, მომავალი თაობის აღმზრდელი, ბატონი თამაზ გოგოტიშვილი. საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი გულითადად ულოცავს ბატონ თამაზს ამ უდიდეს საპატიო წოდებას და უსურვებს ჯანმრთელობას, წარმატებებს.

გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა სია იმ ცნობილი, გამოჩენილი ადამიანებისა, რომელთა ავტორიტეტი, კეთილგონიერება, ნათელი პატრიოტიზმი და მოქალაქეობრიობა მნიშვნელოვანია ეროვნული კულტურისა და ხელოვნებისათვის სასიკეთო სამსახურში და რომლებიც უცილობლად გვესახებიან საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის რჩეულ, საპატიო წევრებად. ამ სიაში ჩვენდაუნებურად გაიპარა შეცდომა — გამორჩენილია ცნობილი ქორეოგრაფი, საქართველოს სახალხო არტისტი და ღირსების ორდენის კავალერი, ბატონი გელოდი ფოცხიშვილი, რისთვისაც ვუბოდიშებთ ბატონ გელოდის.

წარმოგიდგენთ

„ლაშარი“

ქართული ხალხური ცეკვის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ლაშარი“ დაერქვა 1989 წელს. ანსამბლი 1973 წლიდან არსებობს და საკუთარი მოკრძალებული ისტორია შექმნა და თავისი წვლილი შეიტანა ქართული საბავშვო ქორეოგრაფიის განვითარებაში. მოგეხსენებათ, სახელმწიფო ანსამბლებისაგან განსხვავებით, საბავშვო კოლექტივებში თაობათა ცვლა არასტაბილურია, ერთნი ტოვებენ ანსამბლს და მათ ნაცვლად სხვები მოდიან, სცენისათვის თითქმის მოუმზადებლები. სახელმწიფო ანსამბლებიდან კი თუ ვინმე მიდის, მის ადგილს კვლავ პროფესიონალი იკავებს. ეს ვითარება საკმაოდ ურთულებს მდგომარეობას ანსამბლსაც და მის ხელმძღვანელსაც. ლაშარი დღეს სცენაზე დგას და, შეიძლება ითქვას, უძლებს დროის ამგვარ გამოცდებს. ბუნებრივია, ეს ქორეოგრაფ ტარიელ გოგობერიშვილის დამსახურებაა.

— მარტო ჩემი არაო — შენიშნავს ბატონი ტარიელი. — მადლობა მინდა ვუთხრა ასურეთის საშუალო სკოლისა და ასურეთის კულტურის სახლის ხელმძღვანელობას, რომელთა თანადგომითა და დახმარებით საშუალება მომეცა პირველი ნაბიჯები გადამედგა საბავშვო ქორეოგრაფიაში. ეს იყო დაძაბული მუშაობისა და ღამისთევების დრო (1973-1979 წლები). მე ამ სოფელში დავიბადე და გავიზარდე, აქვე დაიწყო ჩემი შემოქმედებითი მოღვაწეობა. ანსამბლს მაშინ ერქვა „კიდევაც დაიზრდებიან“. მუდმივად გვერდში მედგა ასურეთის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი ბატონი ჩარლი მეტრეველი. მან ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა. სახელიც მისი მოფიქრებულია. 1979-1984 წლებში ვმუშაობდი თბილისის მე-12 საშუალო სკოლაში. აქ ანსამბლს „შევარდენი“ დაერქვა. ეს ის წლებია, როდესაც ქართულ საბავშვო ქორეოგრაფიას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ტარდებოდა სასკოლო, სარაიონო, საქალაქო, რესპუბლიკური ოლიმპიადები. სკოლის დირექტორებს ავალებდნენ ანსამბლების შექმნას და ამ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას. ბუნებრივია, ჩემი ანსამბლიც ჩართული იყო ამ პროცესებში და წარმატებაც გვქონდა. არაერთი მედალი და სიგელი ინახება ანსამბლის არქივში. ვმონაწილეობდით სატელევიზიო კონკურსებში და გადაცემებში, რომლებსაც ორგანიზებას უწევდა ბატონი დავით წულუკიძე. ამ პერიოდში ანსამბლმა საზღვარგარეთაც იმოგზაურა, კონცერტები გავმართეთ და ტაშს გვიკრავდნენ ბალტიისპირეთში, პოლონეთში, წარმატებით გამოვედით მოსკოვში, რუსეთის სხვა ქალაქებში. 1984-88 წლებში თბილისის 154-ე საშუალო სკოლის სტუდიის ბაზაზე ანსამბლს „მთიები“ ეწოდა. 1988 წელს ანსამბლმა კიდევ ერთხელ შეიცვალა სახელი და „იბერია“ დაერქვა. მაშინ წითელი ჯვრის საზოგადოებასთან ვთანამშრომლობდით. 1989 წელს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ინიციატივით კვლავ 154-ე სკოლის ბაზაზე ანსამბლს „ლარი“ დაერქვა. 1994- 2002 წლებში „ლაშარი“ ეკუთვნოდა თბილისის ვაგონშემკეთებელი ქარხნის კულტურისა და ტექნიკის სასახლეს. 2000-2004 წლებში „ლაშარი“ ფუნქციონირებს 112-ე საშუალო სკოლასთან. 2004 წლიდან „ლაშარს“ აქვს საკუთარი შენობა. „ლაშარმა“ წლების განმავლობაში არაერთ კონკურსსა და ფესტივალში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა, იმოგზაურა და ქართული ცეკვის ხიბლს აზიარა მაყურებელი მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, კიშინიოვში, ვილნიუსში, ერევანში... გავმართეთ რამდენიმე სოლო კონცერტი დიდი საკონცერტო დარბაზისა და ოპერისა და ბალეტის სცენებზე. კონცერტებით მოვიარეთ თითქმის მთელი ევროპა: პოლონეთი, თურქეთი, რუმინეთი, საფრანგეთი, იტალია...

„ლაშარი“ განაგრძობს ტრიუმფალურ სვლას. წარმატებები ვუსურვოთ მომავალ ვარსკვლავებს და მათ ერთგულ ხელმძღვანელს, ბატონ ტარიელ გოგობერიშვილს.

საქართველოს ქორეოგრაფია
მის.: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №180

სარედაქციო საბჭო: რეზო ჭანიშვილი; ოლეგ ალავიძე; რევაზ ბალანჩივაძე; უჩა დვალიშვილი; ზაურ ლაზიშვილი; ნინო მდივანი; ბესიკ სვანიძე; თენგიზ უთმელიძე.

საავტორო უფლებები დაცულია, მასალების გადაბეჭდვა რედაქციასთან შეუთანხმებლად დაუშვებელია, ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. მასალებს ხუთ ნაბეჭდ თაბახზე მეტს ნუ შემოგვთავაზებთ. შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

ნომრის რედაქტორი
ამირან ბუთურიშვილი
ტელ: 2 45 49 02;
2 15 50 14;
5 99 55 15 84.